



# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№339 (398) 10-17 ნოემბერი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – აააკი შანიძე

**„ეს არის აქსიომა, რომელსაც მთელი ამ წლების განმავლობაში შევარდნაქმეველნი და ამას აბრკელებს სააკაშვილი“**



გვ.2

## გაზეთი “ილორის” ავტორთა საყურადღებოდ!

ჩვენთან დამოუკიდებელი და გაუზრუნველი მიზეზების გამო მოხდა გაზეთის ვებ-გვერდის დაბლოკვა, რის მიზეზადაც საიტის ადმინისტრაცია ასახელებს უნებართვო შეღწევის მცდელობას.

ადნიშნულის გამო შეიცვალა ჩვენი ელექტროფოსტის მისამართი და 2015 წლის 28 ოქტომბრიდან იგი იქნება:

**roland.jalagania@mail.ru**

ბოლოვთ გაითვალისწინოთ ადნიშნული გარემოება

## მამანტი ქაქაშია, სირა ქაქაშია: კალიან მოკლედ ჩვენს საენათმეცნიერო ნაშრომებში წარმოჩენილი სიასხელების შესახებ

...მეგრული ენა რომ გადაშენებულიყო, კაცობრიობა სამუდამოდ დაკარგავდა ენის წარმოშობის საკითხის შესწავლის შესაძლებლობას და საგანთა უნივერსალური სამყაროს შესახებ ადამიანური ცოდნის უდიდეს არსენალს.

მეგრული და სხვა ქართველური (უფრო ზუსტად, იაფეტური) ენების დაცვა არა მხოლოდ ამ ენების მატარებელი ხალხების, არამედ მსოფლიოს ხალხების, მთელი კაცობრიობის წმინდათა წმინდა მოვალეობაა...

გვ.11

## აზერბაიჯანული

**გაზი – 240  
დოლარი,  
რუსული – 200,  
ირანული – 400**


გვ.2



**კონსტანტინე კაკანელი (ჭანჭუკაია): რენესანსი ლიბერალურაში**

როგორც დანტე ალიგიერია ფლორენციის კულტურის დვიდი შვილი, ისე რუსთაველი საქართველოს კულტურის დვიდი შვილია. სიტყვა “შვილი” აქ ნიშნავს არა ფიზიკურად დაბადებულს, არამედ სულიერად შობილს მთელი წარსულით, მისი ისტორიული განსაცდელებით და საქმეებით...

გვ.3



**სვანეთის რკინის ქალაქი – ქრისტემდე რამდენიმე საუკუნით აღრინდელი მეტალურგიული სახელოსნოს ნაშთები**

გვ. 5

## უკანასკნელი ცნობები

მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ საქმეზე, – “ქიბარ ხალვაში რუსთავი 2-ის წინააღმდეგ”, განჩინება 5 ნოემბერს გამოქვეყნა, რის საფუძველზეც ნიკა გვარამიას და კახა დამენიას უფლებამოსილება შეუჩერდათ.

განჩინებაში ურთმელიძემ მეხუთე მუხლში მიუთითებს, რომ “შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის დროებით მმართველად დაინიშნოს დავით დვალი და რევაზ საყვეარიშვილი”. დვალმა და საყვეარიშვილმა უფლებამოსილების განხორციელება 5 ნოემბრიდან უნდა დაიწყონ.

სასიხარულოა, რომ ნაცების ტერორიზმად ქცეული ტელეარხი “რუსთავი-2” განთავისუფლდა (იმედია – სამუდამოდ) ზნედაცემული დაშინების მარწუხებისაგან!

მოვლენათა შემდგომი განვითარების თაობაზე ინფორმაციებს მოგაწვდით ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრებში.



**ღაღა ეკლესიას მოწყობილი იარუსალიმის წმინდა სალოსავეები**

გვ.7

# „ეს არის აქსიომა, რომელსაც მთელი ამ წლები განმავლობაში შევარდნაში მაღავრებდით და ამას აბრძობდით სააკაშვილი“

დაიბეჭდა გაზეთში „ალია“, 2008 წლის ივლისში (2214) 26-28

– ბატონო ალექსანდრე, რა ხდება დღეს ქართულ ოპოზიციაში, მხედველობაში მაქვს პროცესი, როცა ძალიან პატრონს ვერ ცნობს. ან რა უნდა გააკეთოს სააკაშვილმა, რა წყაღს მისთვის თავი, როცა რუსეთის ერთ-ერთი გავლენიანი პერსონა, პოლიტოლოგი მარკოვი პირდაპირ გვიცხადებს, – „ვივატროს ყველაფერზე, სოხუმისა და ცხინვალის გარდა“. რა არის ეს, რას ნიშნავს?

– აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი არავითარ როლს არ თამაშობს ოპოზიციის საქმიანობაში. სააკაშვილისა და საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა კი მე იმ კაცის ამბავს მაგონებს, რომელიც უფსკრულში აღმოჩნდა და იმის ნაცვლად, რომ მალე ამოვიდეს, მიწის თხრა დაიწყო, მიწაში კიდევ უფრო ჩასადრმოდა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოს ხელისუფლების ამ უცნაურ საქმიანობაში რუსეთის ხელი უნდა ვეძებოთ, სასაცილოა. მარკოვი არის დუმის ჩვეულებრივი დეპუტატი. მარკოვს აქვს თავისი გეოპოლიტიკური მოსაზრებები, რომლის პროპაგანდასაც ის ეწევა. მარკოვის მსგავსი შეხედულებები აქვთ დუმის დეპუტატების გარკვეულ ნაწილს, მაგრამ რუსეთში დუმის დეპუტატები პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ვერ იღებენ. რუსეთში პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებენ დღევანდელი პრემიერ-მინისტრი – პუტინი, პრეზიდენტი – მედვედევი და კიდევ რამდენიმე ადამიანი უშიშროების საბჭოდან, რომლებიც კვირაში ერთხელ, კვირაობით იკრიბებიან და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხებს იხილავენ.

– გრიზლოვი, ბაზუნი, მირონოვი... რომლებიც თავიანთი ანტიქართული გაბოროტებით „მრწამსიანად“, ე.ი. კრემლში პოლიტიკურ ამინდს ვერ ქნა?

– არა, არა... დუმა ამ საქმეში არავითარ როლს არ თამაშობს და გადაწყვეტილებას სულ სხვა ადგილას, სულ სხვა ხალხი იღებს. ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, როდესაც საქართველოს ხელისუფლება დარწმუნდება დღევანდელი პოლიტიკური გეზის უპერსპექტივობასა და კრახში და რუსეთთან დააპირებს ურთიერთობის ნორმალიზაციას, საქართველომ დრო არ უნდა დაკარგოს დუმასთან ურთიერთობით და იქ დეპუტატთა მისიების უთავბოლო გაგზავნით, ეფექტური პოლიტიკისთვის საჭირო იქნება პირდაპირი საუბრები კრემლის პირველ პირებთან.

– ბატონო ალექსანდრე, 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სააკაშვილი გამოვიდა და ჩემდა გასაკვირად განაცხადა, – რუსეთის გარეშე, აფხაზეთი დაივიწყეთო. ბოლოს და ბოლოს, გამაგებინეთ, რა ხდება?

– ის, რაც სააკაშვილმა თქვა, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და აქსიომაა. ეს არის ის, რაზეც ამერიკელები და ევროპელები გველაპარაკებიან. მეტი რაღა გინდათ, როცა „ნიქსონის ცენტრის“ დირექტორი – დიმიტრი საიმსი პირდაპირ გვიცხადებს, – ან შემოდინხართ ნატოში უაფხაზეთოდ, ანდა, არ შემოდინხართ. მე ვერ გავიგე, მეტი რაღა უნდა გითხრან და რაღა უნდა მიგანიშნონ. დიახ, ეს არის აქსიომა, რომელსაც მთელი ამ წლების განმავლობაში შევარდნაში მაღავრებდით და ამას აბრძობდით სააკაშვილი. სააკაშვილის კისერზე არ იყო აფხაზეთის ომის სისხლი და მას ჰქონდა შესანიშნავი შანსი, რომ აფხაზეთის პრობლემა დაერეგულირებინა, მაგრამ დღეს ეს შანსი აქვს მხოლოდ ერთ შემთხვევაში, – მან უნდა დაარწმუნოს ამერიკელი კურატორები, რომ საქართველო არ შეიძლება იყოს ნატოს ბაზა, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში ვიღუპებით, რომ ჩვენ აფხაზეთს დაეკარგავთ.

– კი, მაგრამ ნატოში თუ შევდივით, უბაზოდ ვინ დავტოვებ?

– აი, ამაშია სწორედ საქმე, ნატოში შესვლაზე უახრო დაპირებას თავი უნდა გავანებოთ. მეტსაც გეტყვით, ძალიან დიდი ათოტაჟი იყო ჩვენთან წინა კვირას ატენილი, რომ თქვენ ჩვენი ძალისხმევით მივალვით იმას, რომ ევროპა აქტიურად ჩაერთო აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში, რომ ჩამოვიდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შტიინაიერი და ა.შ. სინამდვილეში ეს იყო ლავროვის წინადადება. ლავროვმა რუსეთთან დაახლოებული ორი ძირითადი ევროპული ქვეყნის – გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო უწყებების ხელმძღვანელებს შესთავაზა, – ევროპაში ხშირად ისმის, რომ თუ აფხაზეთში რუსის ჯარი არ იქნება, კონფლიქტი აფხაზეთში ამოიწურება. ჩაბრძანდით სოხუმში და დაარწმუნეთ აფხაზები ამ სიტყვების სისწორეში. ჩამოვიდა შტიინაიერი და მიხვდა, რომ აფხაზეთში რუსეთის გარეშე არაფერი გამოვა. სექტემბერში, როცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოვა, ისიც ამასვე მიხვდება და დეკემბერში, ნატოს მინისტრიალზე, როცა ჩვენ მაპი უნდა მოგვცენ, როგორც ერთი, ასევე მეორე მინ-

ისტრი დასკვნაში ჩაწერს, – აფხაზეთში არის ფოკუსირებაში სიტუაცია და ნატოს არ შეუძლია ამ ტვირთის ზიდვა. მაპს არ მოგვცემენ და კარგია, რომ არ მოგვცემენ, რადგან, როგორც კი საქართველო მაპს მიიღებს, აფხაზეთის დაბრუნების შორეულ იმედსაც კი უნდა გამოვეშვიდობოთ.

– თბილისში აქტიურად საუბრობენ, რომ რუსებმა შეიძლება კოლორის ხეობას დაარტყან.

– არა მგონია, რომ კონფლიქტურ ზონებში უახლოეს მომავალში სამხედრო დაპირისპირება დაიწყო, რადგან არავის ინტერესებს ახლა ეს არ შედის.

– კეთილი... მაშ რა შემთხვევაში შეიძლება განახლდეს აფხაზეთში ან სამაჩაბლოში სისხლისღვრა?

– იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი ამერიკელების რჩევით წავა პროვოკაციაზე, დადგის სისხლს და მეტი განაცხადებს, – რუსეთთან ჩვენ ვიომებთ, ამიტომ ახლა შევიდეთ ნატოში და მეტი ნატო ჩვენ ტერიტორიებს დაგვიბრუნებსო. თუ ასეთი სუფელური იდეა ვინმეს თავში მოუვა და მას განახორციელებს, ის ხომ სამუდამოდ მტრად შევა საქართველოს ისტორიაში, ხოლო ქვეყნისთვის ეს იქნება არანახელი კატასტროფა.

– გასაგებია... აფხაზეთის პრობლემა 2014 წლის სოჭის ოლიმპიადამდე გადაწყდება, თუ ეს იქნება გრძელვადიანი მოქმედების ნაღმი კავკასიაში, როგორც ჩვენთვის, ჩრდილოეთ ირლანდია, ბასკეთი, ტაივანი და ა.შ.?

– საქართველო თუ არ წავიდა რადიკალურ ნაბიჯებზე, თუ პირდაპირი მოლაპარაკებები არ დაიწყო რუსეთის პრეზიდენტთან და იმ ხალხთან, ვინც რუსულ პოლიტიკას ქმნის, თუ არ დაიწყო დიალოგი აფხაზეთთან და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან, აი, ასეთი ურთულესი კომპლექსური მუშაობა თუ არ დავიწყებთ, აფხაზეთის დაბრუნების საქმეში არავითარი პერსპექტივა არ გვექნება და ვილოცოთ უნდა, რომ ოლიმპიადამდე და ოლიმპიადის შემდეგ აფხაზეთში ის სიტუაცია დაკონსერვდეს, რაც დღეს არის. ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ის, რომ რუსეთი არ წავიდეს იმაზე, რაც მას არ უნდა, მისი გეოპოლიტიკური ამოცანა არ არის, – საქმე ეხება აფხაზეთის აღდგენას.

ამის აქტიური ღობი არის დღეს მოსკოვში, მაგრამ ის რამდენიმე კაცი, რომლებიც კრემლში გადაწყვეტილებებს იღებენ და ცოტა შორს იხედებიან, ამბობენ, – აფხაზეთის აღდგენა არ შედის ჩვენს სტრატეგიულ ინტერესშიო. ჩვენ ამით უნდა ვისარგებლოთ.

– კეთილი... რას ელის ალექსანდრე ჭუჭია ქართული ოპოზიციისგან და რა მოხდება სექტემბერში?

– სექტემბერში არაფერს ველი და ის პოლიტიკური სექტორი, რომლის იმედიც ხალხს ჰქონდა, ფაქტობრივად, დაშლილია. ოპოზიციის ამ განლაგებით, კომბინაციათა და ოპოზიციის ლიდერთა ქცევით სააკაშვილს არავითარი საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩამოყალიბდება ახალი ოპოზიციური ძალა ახალი ლიდერით.

– და ვინ იქნება ეს ლიდერი?

– არ ვიცი...

– სხვათა შორის, არის საუბრები, რომ ოპოზიცია სააკაშვილის წინააღმდეგ ისევ აპირებს თავისი პოლიტიკური ჯოკერის ირაკლი ოქრუაშვილის ამოქმედებას. რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს მას?

– როცა ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებაზე ვსაუბრობ, მხედველობაში მაქვს ინტელექტუალური, ბოლშევიკური და ცილილი ოპოზიციური ძალა, რომელიც აუცილებლად გამოჩნდება. თუ ქვეყანა იმ გზით წავიდა, რომ ვისაც სააკაშვილი ენახებოდა და გამოაგდო, აუცილებლად ის უნდა გახადოს პრეზიდენტი, საქართველოს არაფერი ეშველება. უფიქრია ვინმეს იმაზე, თუ რა განსხვავებაა სააკაშვილსა და ოქრუაშვილს შორის? მგონი, არაფერი!

ახლა ერთ რამესაც გეტყვით. რუსეთი საქართველოსთან დაკავშირებულ პრობლემებს იხილავს და წვეტს ამერიკასთან ურთიერთობაში. რუსეთს არ სჭირდება ზედმეტი ტვირთი, რადგან პრინციპულ საკითხებს რუსეთი და ამერიკა ერთმანეთში ყოველთვის გადაწყვეტენ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ერთ-ერთმა მოადგილემ მითხრა, რომ მას რამდენიმე თვის წინ დაურეკა კონდოლიზა რაისის მოადგილემ – დენიელ ფრედმა და აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანასთან მიმართებაში რუსეთის მხარდაჭერა სთხოვა. ოღონდ ამ საქმეში დამხმარეთ და თუკი საქართველოში რამიმე პრობლემა გაქვთ, მეთიუ ბრაიზას სასწრაფოდ თბილისში გავუზავნი და როგორც თქვენ გინდათ, ყველაფერს ისე გააკეთებთ, უთქვამს ფრედს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილისთვის... აი, ასეთია რეალური ვითარება და საქართველომ და მისმა ხელისუფლებამ რეალობას უნდა გაუსწოროს თვალი.

ესაუბრა დიპლომატიკის მწიგნობარს

## აზერბაიჯანული ბაზი – 240 დოლარი, რუსული – 200, ირანული – 400

მთავრობა რუსული გაზის იმპორტის პარალელურად, ირანული გაზის დაბეჭვბაზე იწყებს ფიქრს. რამდენად საინტერესოა ირანისთვის საქართველოს ბაზარი, ეს სხვა საკითხია, თანაც, ირანული გაზის საქართველოში ტრანსპორტირებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურაც არ არის. საბოლოოდ, ყველაფერი მინც ბუნებრივი აირის ფასს უკავშირდება. ამჟამად 1000 კმ/მ აზერბაიჯანული (კომერციული) გაზის ფასი 240 დოლარია, რუსულის – 200 დოლარი, ხოლო ირანულის – 400 დოლარი.

როგორც გაზეთი „რეზონანსი“ წერს, მთავრობა ამტკიცებს, რომ ბაზრის დივერსიფიცირებისთვის მარტო რუსულ გაზზე არ ექნება აქცენტი და ისინი მოლაპარაკებებს გამართავენ ირანთანაც. ენერჯეტიკის მინისტრი კახა კალაძე ნოემბრის შუა რიცხვებში ირანში ვიზიტს გეგმავს და ამბობს, რომ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, რამდენად შესაძლებელი იქნება ირანული აირის იმპორტი. „თქვენ იცით, რომ დღესთვის ამ ქვეყანასთან არის განსხვავებული მიდგომა. ის რესურსი, რომელიც ირანს გააჩნია, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ უახლოეს მომავალში, ნოემბრის შუა რიცხვებში, ვეგემათ მოლაპარაკებას. მაშინ გამოჩნდება, რამდენად შესაძლებელია ბუნებრივი აირის იმპორტი“, – განაცხადა კალაძემ.

ექსპერტი ვია ხუხაშვილი მიიხვეს, რომ ირანული ბუნებრივი აირის იმპორტზე საუბარი ნაადრევია. თეირანისთვის საქართველოში გაზის გაყიდვას ეკონომიკურად მაშინ ექნება აზრი, თუკი დიდი მოცულობის ტრანზიტი განხორციელდა. ამისთვის კი, სომხეთსა და ირანს შორის დამაკავშირებელი გაზსადენის პარალელურად, ახალი მილი უნდა ჩაიდოს. „თუკი იქნება ახალი სატრანზიტო მაგისტრალი, შეიძლება ასეთი პროექტის განხილვაც, მაგრამ ეს არის საკმაოდ გრძელვადიანი პროგრამა. ახლო პერსპექტივაში ვერ ვხედავ შანსს, თუმცა ამ მიმართულებით ფიქრი საინტერესოა“, – ამბობს ვია ხუხაშვილი და დასძენს, რომ ირანიდან გაზის შემოტანა შეიძლება მხოლოდ „სვოპ მეთოდით“, ანუ სომხეთმა არსებული მილით უნდა მიიღოს საქართველოსთვის განკუთვნილი ოდენობის ირანული გაზი და გადაცვალოს მისთვის განკუთვნილ რუსულ გაზზე. „ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, უბრალოდ, არ არსებობს ინფრასტრუქტურა, რომელიც ირანულ გაზს შემოიტანს საქართველოში. მივირს ეს საკითხი რატომ გახდა აქტუალური. რატომ არ გვაკმაყოფილებს აზერბაიჯანული გაზი და რატომ ვეძებთ პრობლემას? ასე ვთქვათ, პოლიტიკურად ყველაზე თავისუფალი გაზი,

საქართველოს გავლით“, – აღნიშნა ენერჯეტიკის მინისტრმა.


ექსპერტი ვია ხუხაშვილი მიიხვეს, რომ ირანული ბუნებრივი აირის იმპორტზე საუბარი ნაადრევია. თეირანისთვის საქართველოში გაზის გაყიდვას ეკონომიკურად მაშინ ექნება აზრი, თუკი დიდი მოცულობის ტრანზიტი განხორციელდა. ამისთვის კი, სომხეთსა და ირანს შორის დამაკავშირებელი გაზსადენის პარალელურად, ახალი მილი უნდა ჩაიდოს. „თუკი იქნება ახალი სატრანზიტო მაგისტრალი, შეიძლება ასეთი პროექტის განხილვაც, მაგრამ ეს არის საკმაოდ გრძელვადიანი პროგრამა. ახლო პერსპექტივაში ვერ ვხედავ შანსს, თუმცა ამ მიმართულებით ფიქრი საინტერესოა“, – ამბობს ვია ხუხაშვილი და დასძენს, რომ ირანიდან გაზის შემოტანა შეიძლება მხოლოდ „სვოპ მეთოდით“, ანუ სომხეთმა არსებული მილით უნდა მიიღოს საქართველოსთვის განკუთვნილი ოდენობის ირანული გაზი და გადაცვალოს მისთვის განკუთვნილ რუსულ გაზზე. „ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, უბრალოდ, არ არსებობს ინფრასტრუქტურა, რომელიც ირანულ გაზს შემოიტანს საქართველოში. მივირს ეს საკითხი რატომ გახდა აქტუალური. რატომ არ გვაკმაყოფილებს აზერბაიჯანული გაზი და რატომ ვეძებთ პრობლემას? ასე ვთქვათ, პოლიტიკურად ყველაზე თავისუფალი გაზი,

ყველაზე კარგი პირობებით გვაქვს აზერბაიჯანიდან“, – ამბობს ხუხაშვილი.

რაც შეეხება ფასს. საქართველო აზერბაიჯანისგან ე. წ. სოციალურ გაზს 189 დოლარად ყიდულობს, კომერციული გაზის ფასი 240 დოლარია. რაც შეეხება რუსულ აირს, 2016 წელს „გაზპრომში“ ევროპას 1000 კმ/მ გაზს 200 დოლარად მიაწვდის, უკრაინას – 146 დოლარად, ამ დროისთვის უკრაინა რუსულ გაზს 227 დოლარად ყიდულობს. სომხეთისთვის კი რუსული გაზის საფასური 209 დოლარიდან 165 დოლარამდე დაიწვეს. აქ გასათვალისწინებელია ის, რომ სომხეთის გაზგამანაწილებელ ქსელს მთლიანად „გაზპრომი“ აკონტროლებს და სომხეთის გაზგამანაწილებელ კომპანიას „გაზპრომ სომხეთი“ მართავს. ირანული გაზის ფასი შედარებით ძვირია, თუმცა ამ ქვეყანას არ აქვს ინფრასტრუქტურა, რომ საკუთარი რესურსის ფართო რეალიზაცია შეძლოს. ამჟამად ირანი თურქეთს 1000 კმ/მ-ს დაახლოებით 400 დოლარად აწვდის და სტამბული 25%-იან ფასდაკლებას მოითხოვს.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსოფლიოს ბუნებრივი აირის 18 პროცენტი ირანზე მოდის, რუსეთზე – 17 პროცენტი, ყატარზე კი – 13 პროცენტი.

მაპა ხარაზიშვილი



# რუმინული ლიტერატურაში

რუმინული აქვს საკუთარი ცხოვრების ფილოსოფია მდიდარი ზნეობრივი და ესთეტიკური მოსაზრებებით, საკვებ ქართული ტრადიციის სიბრძნით, გამოცდილებით, ქართველი ხალხის ისტორიული კულტურით. ამბობენ, რუმინული ნოვლატონიზმის მიმდევარიაო; ნოვლატონიზმი, როგორც ფილოსოფიური მოძღვრება, სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც არსებობდა. ნოვლატონიზმი რთული ისტორიული მოვლენაა ფილოსოფიის ისტორიაში. ნოვლატონიზმის ფილოსოფია მსოფლიოში მიმდინარეობდა სხვადასხვა სახით და შინაარსით: იყო ნოვლატონიზმის ზოგადი თეორია სიყვარულის, სილამაზისა და იერარქიის ცნებებით, რომელიც ჩამოაყალიბა ლიკოპოლემა ფილოსოფოსმა პლოტინმა; იყო ნოვლატონიზმი ქრისტიანობის სამსახურში, რომელიც აგრძელებდა პატრისტიკის ტრადიციას ფილოსოფიის ისტორიაში, მაგრამ ნოვლატონიზმში იყო ისეთი ნაკადიც, რომელიც ცდილობდა პლატონის ფილოსოფიის და, საერთოდ, ელიზური მითოლოგიის აღორძინებას.

ასეთი ნოვლატონიზმი საქართველოშიც იყო, მაგრამ პატრისტიკული ფილოსოფიის ტრადიციის გვერდით და ხშირად ამ ფილოსოფიის მონათესავედ; ძალიან ხშირად ერთი და იგივე ქართველი მოაზროვნე წარმართულ პლატონურ ფილოსოფიასაც ეტანებოდა და პატრისტიკულ ტრადიციასაც იზიარებდა; ასეთი იყო პეტრიწი, რომელიც ნოვლატონიკურ მოძღვრებას იზიარებდა, პლატონის ფილოსოფიის ერთისა და მრავლის ცნებას არკვევდა და არისტოტელეობასაც ეწეოდა.

ქართული კულტურის ისტორიისათვის საყურადღებოა მიმოწერა იოანე იტალოსისა და იოანე პეტრიწის შორის. ამ მიმოწერით ცხადი ხდება, რომ საქართველოში გართულებული იდეოლოგიური ბრძოლები იყო; არსენ იყალთოელი, უფრო ორთოდოქსი ქრისტიანობაში, ვიდრე პეტრიწი, ებრძოდა არაპატრისტიკულ მიმართულებას, კერძოდ იოანე პეტრიწს. როგორც ისტორიკოსი ნანს, მეფე დავით აღმაშენებელი საშუალებას აძლევდა ორივე მიმართულებას გამოეთქვა თავისი მოსაზრებები; მეტიც, დავით აღმაშენებელმა იოანე პეტრიწს საშუალება მისცა ექადაგა თავისი მოძღვრე-

ბა გელათის აკადემიაში, სადაც იგი, როგორც ქართველი მეკლევარნი ფიქრობდნენ, მოწვეული იქნებოდა დავით აღმაშენებლის მიერ. ფილოსოფიური ბრძოლები იყო საქართველოშიც და ეს ადასტურებს ქართული კულტურის სიმადღეს და მსოფლიო მნიშვნელობას; ჩვენ არავითარი საბუთი არ გვაქვს ვთქვათ, რომ შოთა რუსთაველი არ იცნობს ფილოსოფიურ ბრძოლებს საქართველოში, მაგრამ რუსთაველის მიერ პოემა ადასტურებს, რომ ამ ფილოსოფიური ბრძოლებიდანაც რუსთაველს არაფერი სესხად არ მიუღია და თავის პოემა არ გაუღუქმავს ამ ფილოსოფიური ბრძოლების გამოსახატად.

რუსთაველი იცნობს თავისი დროის და წინანდელი პერიოდების ყველა იდეოლოგიურ მიმართულებას; იცნობს ბუდას, ქრისტეს, პლატონის, არისტოტელეს, პლოტინის, პროკლე დიადოხის, პეტრიწის და იტალოსის იდეებს. რუსთაველი შლის თავისი პოემის სიტუაციებს არაბეთის პოლიტიკური ძლიერების ფონზე; ყველაფერი ეს ისტორიულად შესაძლებელი და აუცილებელიცაა ისეთი დიდი გენიის შემოქმედების გაშლისათვის, როგორცაა რუსთაველის გენია. მაგრამ რუსთაველის პოემის სული ნაქსოვია ქართული ისტორიული განცდებით და პოემაში გამოსახული მითითებები ხელმწიფობის წარმოშობის, ქაჯეთის ციხის დანგრევის, სარიდან მეფის ვასალიტეტობის, ვაჭრების არსებობის შესახებ და მრავალი სხვა დამაფიქრებელი ადგილი მოწმობს, რომ რუსთაველის ცხოვრების კონცეფცია საქართველოს ისტორიის ნაშრობია.

როგორც დანტე ალიგიერია ფლორენციის კულტურის ღვიძლი შვილი, ისე რუსთაველი საქართველოს კულტურის ღვიძლი შვილია. სიტყვა **“შვილი”** აქ ნიშნავს არა ფიზიკურად დაბადებულს, არამედ სულეიერად შობილს მიუღი წარსულით, მისი ისტორიული განსაცდლებით და საქმეებით, შემთხვევებით, ხალხში მომხდარი ცვლილებებით, განცდებით და იმედებით. ქართველი ხალხის მიერ განვლილი სოციალური ფორმაციები იმ ზომამდე თავისებური და განსხვავებულია შუა აზიის, აღმოსავლეთის ხალხების სოციალური ფორმაციებისაგან, რომ აღმოსავლეთის რენესანსის ცნება თავისთავად იცირდება ჩვენს წარმოდგე-

ნაში, როდესაც ნათლად წარმოვიდგინოთ აღმოსავლეთის წარსულს მიუღი თავისი ოფიციალური და აგრესიული დამოკიდებულებებით ქართველ ხალხთან, მის კულტურასთან, მის ოჯახთან და საზოგადოების ისტორიასთან. აღმოსავლეთის რენესანსისა და პუმიანიზმის შესახებ როგორ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც მანიქეველობისა და სუფისტების ქვეყნები სისტემატურად ახორციელებენ ქვეყნებს, დაწესებულებებს, ეკლესიებს, საქართველოდან ქალები და ვაჟები განწვევნილად გაჰყავდათ აღმოსავლეთში მონობისა და პარამანებისათვის, საუკუნეების მანძილზე ხრწნიდნენ და ათახსირებდნენ თამარ მეფისა და რუსთაველის საქართველოს?!

მას შემდეგ, რაც რუსთაველი არარ იყო ქვეყნად, მისი გენიოსური ქმნილება ებრძოდა აღმოსავლეთს, ყაენის თარეშს საქართველოში, მისი წესების, ადათების, ყოფა-ცხოვრების გამხრწნელ თვისებებს. რუსთაველის მეტყველებასა და აზროვნებას აქვს ქართული ისტორიული კულტურის თვისებები. ქართველი ხალხი, მისი სული და ტემპერამენტი რუსთაველის გენიაშია განსახიერებული; როდესაც გადაგვარებულად ვარდ-ბუბუღიანს მღეროდნენ და ზურნას უკრავდნენ, ქართველი ხალხი მორალურად იზრდებოდა და ავთანდილისა და ტარიელის გამირობის მიბაძვაში, მეგობრების და სიყვარულის რუსთაველისეული იდეებით.

ქართული კულტურის გზა – რუსთაველის გზა – არასოდეს არ ყოფილა აღმოსავლეთში გათქვეფილი. საქართველოს ისტორია ნათელი ბრძოლებისა და იდეების გზაა, დიდი მორალური იდეების გზაა, რომელიც აღმოსავლეთის უდაბნოებით კი არ მიდის, არამედ დასავლეთის მიდამოებით მიემართება ადამიანობისა და სიკეთის მოვლადე მწვერვალებისაკენ.

წარსულშიც საქართველო დასავლეთისკენ მიემართებოდა. მოწინავე მწერლები და მოაზროვნეები ოცნებობდნენ აზიის ქაოსისა და პოლიტიკურად მოძველებული გზის დაძლევაზე; საუკუნეები შლიდნენ ახალ-ახალ პერსპექტივებს და ისტორიული სული გამოსავალს ეძებდა; ადამიანობა და ზნეობრივი კეთილშობილება, რომელიც რუსთაველმა ავთანდილის ქცევასა და გააზრებაში უანდერძა მომავალ

თაობებს, მიუღი თავისი იდეალური მიზნებით მიიწვედა კაცობრიობის საუკეთესო სურვილებისაკენ; რუსთაველის წარმოსახვაში მოცემული იდეების საწყისი შეიძლება იყოს პეტრე იბერის (არეოპაგიტის) კონცეფციაში, მაგრამ მანიქეველობისა და სუფისტურ-დერვიშულ იდეებს, ასევე კტიზმს ვერ მივაწერთ. რუსთაველის გმირებს ძალიან უყვართ ეს ქვეყანა მთელი თავისი სურნელებით. რუსთაველმა ძალიან კარგად იცის, რომ ყველაფერი ქვეყნად წარმავალია და დროული, მაგრამ მშვენიერია ყველაფერი, რაც გვაღვლეებს და გვსიამოვნებს, რაც ოცნებაში გადაწვდილ სულს სილამაზისაკენ ეძახის.

## პრინციპალი საპარტიკული – შოთა რუსთაველი

### რუსთაველის ისტორიულ-საზოგადოებრივი გარემოცვა

წარსულში ქართული კულტურა ცნობილი იყო როგორც მოწინავე კულტურა. საქართველო ხშირად იხსენიება ბიბლიური და ანტიკური ქვეყნების ისტორიულ წყაროებში. დამახასიათებელია, რომ არა მარტო ისტორიკოსები, არამედ ისეთი დიდი პოეტები, როგორც ესქილე და ევრიპიდე იყვნენ, ქართველი ხალხის ისტორიას, მის თქმულებებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ; ევრიპიდე თავისი ტრაგედიის გმირად ქართველი ქალი – მედეა გამოიყვანა, ხოლო ესქილეს პრომეთეს ოკეანის ქალიშვილების სხვადასხვა ქვეყნებში ნამგზავრი ქორო მოახსენებს: შენი ტანჯვა კოლხიდაში იცინაო.

სხვა ისტორიული საბუთებიც გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართულ კულტურას დიდი გავლენა ჰქონდა მრავალი ძველი ხალხის კულტურაზე; თავის მხრივ; საქართველოც განიცდიდა ევროპის, საბერძნეთის, სპარსეთის, არაბეთისა და მონღოლეთის გავლენას.

ანტიკური ცივილიზაციის ცენტრებიდან საქართველოში შემოჰქონდათ მატერიული, კულტურისა და იდეოლოგიის ძვირფასი საგანძური, დიდი ქალაქების ქსოვილები, ხელნაწერები, ტექნიკურ გამოგონებებთან სხვა სიახლეები.

### კონსტანტინე პაპანელი (გაგრძელება იქნება)

# რატომ ძრებიან ათონის მთიდან ბერები

ათონის მთაზე ბერები მონასტრია, მათ შორის ბერძნული, რუსული, ბულგარული, სერბული, რუმინული, არის სკიტი, სენაკი და კალივი (დაეუფლებულ მეუღლებოთა სამყოფელი). ნახევარკუნძულზე მონახუნების გარდა არავინაა და საუკუნეებია ასეა. დაახლოებით ათასი წელია, იქ ქალს ფეხი არ დაუდგამს (მდებრობითი სქესის ცხოველებსაც კი ეკრძალებათ იქ ასვლა). წმინდა მთას ყოველდღე მღვდლისმშობლის მეორე და უმთავრეს წილხვედრს უწოდებენ. მრავალი საუკუნეა, ამ მთაზე ქალის ასვლა აკრძალულია. გადმოცემით, რომის იმპერატორ კონსტანტინე პლაკიდას ცოლმა ათონზე ასვლა გადაწყვიტა. მეუღლის თანხმობის მიღების შემდეგ, პლაკიდა ათონზე ვატოპედის მონასტერში მივიდა, მაგრამ ზეციდან მრისხანე ხმა მოისმა, რომელიც უბრძანებდა, სასწრაფოდ დაეტოვებინა ყოველდღე მღვდლისმშობლის სახანე.

ათონის მახლობელ ქალაქ ურანოპოლისის მკვიდრი იმის შესახებ ჰყვებიან, თუ როგორ უჭრის გზას უხილაგო ძალა ათონის მთისკენ მიმავალი ქალები. მაგალითად, მიცურავს მეთევზეთა ნავი, რომელზეც მძებრი დასთან ერთად არიან. ქალიშვილმა ათონის მთასთან მისვლა ითხოვა, მაგრამ როგორც კი ნავიდან გადმოვიდა, ფერდობიდან ქვეშა დაიწყო ცეცხლა. შეშინებულმა მენავეებმა სწრაფად გაეცურეს ზღვაში. არც კოლოების თავდახსნაა გამორიცხული. ამის მხილველი არც ერთი ქალი ადარ მოისურვებს, რომ წმინდა მიწაზე ფეხი დაადგას, სადაც ათასი წლის განმავლობაში ქალთაგან მხოლოდ ყოველდღე მღვდლისმშობელი იმყოფებოდა.

1941 წელს ღირსი პეტრე ათონელის კე-

ლიდან ბერი გაქრა. თავის ორ მორწილს უთხრა, რომ კუნძულ სამოსზე მიდიოდა, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნეს, ვერც მკვდარი იპოვეს და ვერც ცოცხალი.

დაახლოებით 1984 წელს ივერიის სკიტის კელიდიანაც გაქრა ბერი სერგი, ფრიად ღვთისმთონი, მღუმარე და ქველმოქმედი მოღვაწე. მისი კელიის კარი დიდი ხნის განმავლობაში ღია იყო.

**“ვატოპედის მონასტრის კელიიდან გაქრა აგრეთვე ბერი ნექტარიოსი, იგი ვერც ცოცხალი იპოვეს და ვერც მკვდარი, – წერს ბერი ვლასი, – და კიდევ ორი ბერი – ნიკოდიმოსი ქსენოფონტის სკიტიდან და კარტინიანი კაპასალიდან; და ვერც მათ ვაგნს მიაგნეს სადმე”.**

ბერები ამ გაქრობას ათონის სხვა დიდ საიდუმლოს უკავშირებენ – ე.წ. **“უხილაგ მოსაგრეებს”**. წმიდა მთაზე ასეთი თქმულებაც არსებობს: როდესაც ვინმე იკარგება, ამბობენ: იგი **“უხილაგმა მოსაგრეებმა”** წაიყვანესო.

ვინ არიან **“უხილაგ მოსაგრეები”**? ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთნი ვერაულობენ, ძველი წმინდანები არიან, რომლებიც ოდესღაც მოღვაწეობდნენ წმინდა მთაზე, ახლა კი ხალხს ეცხადებიან. მეორენი საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, თითქოს ისინი თანამედროვე მოღვაწეები არიან, რომლებიც ათონის უშირეს და მიუდგომელ გამოქვაბულში ცხოვრობენ, სამყაროსგან განცალკევებით, რათა განწვევნილად მყოფობდნენ ღმერთთან. ისინი **“უხილაგნი”** იმტომ გახდნენ, რომ სხვა შემთხვევაში მათი გამოქვაბულები არა მხოლოდ კეთილკრძალული მონაზვნებით გაივსებოდა, არამედ ცნობისმოყვარე უცხოელი ტურისტებითაც.

ძველი გარდმცემმა გვამცნობს, რომ XIX საუკუნის დასაწყისში უცნობ მოსაგრეებს თავისთან დებულობდა ბერი ქრისტოფორი იანაკოპულის კალივიდან. **“უხილაგ მოსაგრეები”** მისგან ქრისტეს წმიდა საიდუმლოებებს ეზიარებოდნენ.

გადმოცემის თანახმად, **“უხილაგ მოსაგრეები”** შეიღნი იყვნენ. ისინი ათონის გამოქვაბულში ცხოვრობდნენ. როდესაც ერთ-ერთი მათგანი გარდაიცვლებოდა და ექვსნი რჩებოდნენ, მაშინ რაღაც საიდუმლო სახით მთიდან მოდიოდა სხვა სათნო ბერი, იკავებდა გათავისუფლებულ ადგილს და ისინი კვლავ შეიღნი ხდებოდნენ”.

1835 წელს ათონის მთაზე რამდენიმე მონადირე უცნობ, მოხუც ბერს შეხვდა, რომელთანაც ისაუბრეს. მან მონადირეებს უთხრა, რომ მასთან ერთად გამოქვაბულში კიდევ ექვსი ღრმადმოხუცი ბერი ცხოვრობდა. როდესაც მონადირეებმა ამის შესახებ წმიდა ანას სკიტში მყოფთ მოუთხრეს, ადგილობრივმა ბერებმა საგზალი აიღეს და უცნობ მოსაგრეთა საძებნელად გაემართნენ, მაგრამ ვერავის მიაგნეს.

ერთ ღიბანელს ათონზე ასვლა სურდა, მაგრამ გზა დაებნა და ვიდაც უცნობ ბერს შეხვდა, რომელიც მას ლეღვით გაუმაჰინძლდა. როდესაც ამის შესახებ წმინდა ანას სკიტში მყოფთ უამბო, ბერები უცნობი მოღვაწის საძებნელად წავიდნენ, მაგრამ ვერაინ ნახეს.

კვიპროსის კიკოსის მონასტრის ბერდიაკონი ეფრემი ერთხელ, ათონის მთაზე ყოფნის დროს, დონისიატის მონასტრიდან წმინდა პავლეს მონასტერში მიდიოდა და ბილიკზე უცნობი მოღვაწეს შეხვდა. ისინი შეჩერდნენ, ერთმანეთს

მისვლმნენ და საუბარი დაიწყეს. უცნობი მოსაგრე ძველი კაბით იყო შემოსილი, გრძელი წვერი კი ქამარში ჰქონდა ჩატანებული. ახალგაზრდა კვიპროსელმა რამდენიმე შეკითხვა დაუსვა ზიარების შესახებ. ბერმა მას უპასუხა. შემდეგ თითოეული თავის გზაზე წავიდა. რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ ეფრემი მობრუნდა, რათა კიდევ ერთხელ შეეხედა მოხუცი ბერისათვის, მაგრამ მხოლოდ კვლური ბუნქები და ცარიელი ბილიკი დაინახა.

ცნობილი მოღვაწე ბერი პაისი ათონელი აგრეთვე ამბობდა, რომ ათონზე არცთუ ცოტა უცნობი წმინდა ბერია, რომლებიც ხალხს თავიანთ ადგილ-სამყოფელს უმაღავენ.

**“ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი “უხილაგ მოღვაწე”** მართლაც არსებობენ, – წერს ბერი ვლასი, – მიუღი სამყარო უნდა ხარობდეს, რამეთუ მათი ლოცვით შეჩერებულია ღვთის სამართლიანი რისხვა (ჩვენი ცოდვების გამო) ადამიანთა მოღვაწეზე”.

ძნელია **“უხილაგ მოსაგრეებს”**, ათონის მთის უდიდეს საიდუმლოზე რამე თქვა, მართლაც არიან თუ არა ისინი, ეს მხოლოდ ყოვლისმხილველმა უფალმა უწყის. სამაგიეროდ, ღარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნეში წმინდა მთაზე ერთი ბერი მოღვაწეობდა, რომელიც თავისი სიწმინდით ათონელთათვის ჭეშმარიტად იყო **“უხილაგ მოსაგრე”**, მაგრამ ათონელი მამები ვერ ხედავდნენ ამას. იგი ყველას ჩვეულებრივ მშრომელ ბერად მიანდა, ის კი ლოცვით იმ წმინდა მამებს მიემსგავსა და უფალს მთელი კაცობრიობისათვის ევედრებოდა. ეს წმიდა სილუან ათონელი გახლდათ.

ლალი შანი

ილია ჭავჭავაძის თანამედროვე უღირსებო და უეროვნებო ჩინოვნობა



ქართული ისტორიული მესხიერებიდან და დღევანდელი სინამდვილიდან, რა ღირებულებითი წანამდვირებია საძიებელი, რაც მომავალში ქვეყნის წარმატების საფუძველი იქნება?!

ეკროკავშირში ასოცირება და თავად ეკროკავშირი, აბსოლუტურ ღირებულებას არ წარმოადგენს, რომ საყოველთაო ბედნიერება თავისთავად მოგვიტანოს. ეკროკავშირს ასპარეზზე ჩვენი წარმატება, მატერიული ფასეულობებით შედარებით, უპირატესად არამატერიალური კატეგორიებით მიიღწევა, კერძოდ – სოლიდარული, ტოლერანტული საზოგადოების შექმნით, მაღალი პასუხისმგებლობით, ეროვნული მესხიერების შენარჩუნებით და მისი უწყვეტობის განცდით, და როგორც შედეგი – ქართველთა საუკეთესო „შინაგან“ ფასეულობათა აღორძინებით და ქართული სახელმწიფოს ახალი თაობის მშენებელთა შექმნით.

ე.ი. ჩვენი მოლოდინი თუ აქტიურობა მხოლოდ პოლიტიკური, ეკონომიკური, ან სოციალური პრობლემებით არ უნდა შემოიფარგლოს. ღირებულებათა არჩევანში, მთავარი ღირებულებები (შესაძლებლობები) უნდა ვეძებოთ. მათ შორისაა: ფიქრი უკეთეს მომავალზე, თავისუფალ ქვეყანაზე; ძალისხმევა და ორიენტაცია საზოგადო სიკეთეებზე, მოქალაქეთა ღირსეულ სიცოცხლეზე; ზრუნვა მომავალ თაობათა მენტალურ და მორალურ სიჯანსაღეზე – ესაა ადამიანური ყოფის ძირითადი ღირებულებები ნებისმიერ ეპოქაში, ნებისმიერ საერთაშორისო კავშირში თუ გეოპოლიტიკურ არჩევანში.

ჩვენი წინაპრები უახლესი ისტორიიდან, შეხედვითი შესაძლებლობების პირობებშიც კი, სწორედ ამ კატეგორიებით ხელმძღვანელობდნენ და ასე ქმნიდნენ საქართველოს ისტორიას.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ, ეკონომიკის ერთ-ერთ სფეროში – საქართველოში საბანკო-საფინანსო საქმის სათავეებთან გეპატივებით...

საქართველოში საბანკო-საფინანსო სისტემის საფუძვლების შექმნა ილია ჭავჭავაძის და დიმიტრი ყოფიანის ეპოქას, მათ სახელს უკავშირდება. XIX საუკუნის მეორე ნახევარი ის გამოწვევის პერიოდი იყო, როცა დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოში, საკუთარი ფულის ნიშნების არარსებობის პირობებშიც კი, პირველი ქართული ბანკი მრავალი წლის განმავლობაში ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის ეკონომიკურ (და ზნეობრივ) საფუძვლებს ქმნიდა.

ეს მოვლენა იმდროინდელი პრესის და საზოგადოების არაჩვეულებრივ ინტერესს იწვევდა. საზოგადოება ორ ბანაკად იყო გაყოფილი. სხვადასხვა ეტაპზე დაპირისპირებულები აღმოჩნდნენ საზოგადო თანამოაზრნიც – ილია და აკაკი წერეთელი, ილია და ივანე მანაბელი, მათი მხარდამჭერები და მოწინააღმდეგეები. აზრთა ურთიერთგაზიარება და იდეათა ბრძოლა „ბანკობიდან“ სახელთ მოინათლა.

ფეოდალური არისტოკრატია საადგილობრივ ბანკის იდეის დასამარებას ცდილობდა, თერგდალეულები კი მხურვალედ იცავდნენ ამ იდეას. 1864 წელს ჩასახულ იდეას II წელი დასჭირდა, რომ საქმედ ქვეყლიყო.

იდეა საზოგადოებრივი (საქციო) ბანკის შექმნას ითვალისწინებდა, რათა მოსახლეობის ყველა კატეგორიას, მათ შორის გლეხებსაც, პქონოდა კრედიტის გახსნის შესაძლებლობა. ბანკი დემოკრატიულ პრინციპებზე ორგანიზებული, მოგებაზე ორიენტირებული და ამ მოგებით საერთო-საზოგადოებრივი განვითარების ხელშემწყობი არასახელმწიფო, კომერციული დაწესებულება უნდა ყოფილიყო.

შეუადაროთ ეს მისია დღევანდელ ქართველ ბანკერთა (მთლიანად, ქართული საბანკო სისტემის) მომხვეჭელურ, მტაცებელურ, ადამიანთა უბედურებაზე დაფუძნებულ და უსახლდრო გამდიდრებაზე ორიენტირებულ საქმიანობის წესს. თუმცა, სჯობს, ისევ წარსულს დავუბრუნდეთ...

დიმიტრი ყოფიანის ოპტიმიზმი და ენთუზიაზმი უსახლდრო იყო. მან საგანგებოდ შეისწავლა იმპერიის სხვა კერძო ბანკების წესდებათა საფუძვლები, რუსული და უცხოური ლიტერატურა და ჩამოაყალიბა „ქართული“ ბანკის ძირითადი დებულებები, რაც ადგილობრივ თავისებურებებს და ინტერესებს მიესადაგებოდა.

შემდგომ, 1870 წლიდან, გააქტიურდნენ ქართველი სამოციანელები. მათი მიზანი იყო ქართული საადგილობრივი ბანკი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში ჩაეყენებინათ და ამ საქმისათვის ილია ჭავჭავაძეს ეხელმძღვანელებინათ.

ილიამ ახალი წესდების შედგენა ითავა და მიზნის მისაღწევად დაუნდობელი ომი წამოიწყო. ბროკაუზ-ფერონის რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონისთვის შედგენილ ავტობიოგრაფიაში იგი წერს: „ბევრი ყოყმანისა და მერყეობის შემდეგ, თუ რაგვარი საკრედიტო დაწესებულება დაგაარსოთ, თავადანაზარობამ გადასწყვიტა, ჩემის რჩევისამებრ, დაარსება საადგილობრივი ბანკისა და აირჩია კომისია, რომლის ერთ-ერთ წევრად მეც დამნიშნა წესდების შედგენად“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. 10, გვ. 311).

წესდება შემუშავდა, საჭირო იყო მისი დამტკიცება ფინანსთა სამინისტროში და მეორე – საგარეო ბრძოლის მოგება. „...იმისთანა კაცნი, რომელნიცა ზნეობრივად ისე გაქსუებულან თავისის სიკეთისა და პირადის ბედნიერების უკან დევნაში, რომ ყოველ ზრუნვას საყოველთაო კეთილ-ისათვის უსაქმო კაცის ოცნებათა სთვლიან... რომელნიცა მუად ტრიალებენ ეწრო სფეროში, არასოდეს აღწეულან თავისი პირადი სარგებლობის უმაღლეს და არ გამთბარან საზოგადოების სიკეთის სიყვარულითა...“ (ილიას სიტყვა, გაზ. „დროება“, 1872 წ., 47). საზოგადო სიკეთის დამკვიდრება, თავის მხრივ, საფუძველი უნდა ყოფილიყო, რომ შემდგომ აღარ ყოფილიყვნენ „ასეთი კაცნი“.

აქ კიდევ ერთხელ შევირდეთ, და დღევანდელი პარლამენტარები და „ასეთი კაცნი“ გავისხენოთ, ვისაც ქართველმა ამომრჩეველმა, სანუგეშოდ და საიმედოდ, უკვე მერამდენედ, ხმა მისცა არჩევნებში, რათა ეს „რჩეულნი“ ამაღლებულიყვნენ „თავისი პირადი სარგებლობის უმაღლეს“ და გამთბარიყვნენ „საზოგადოების სიკეთის სიყვარულით“.

ამისათვის კი ეს ე.წ. „რჩეულნი“, უბრალოდ, ზნეობრივი კაცები უნდა იყვნენ და არა უზნეონი. აქაც, ძვირფასო მკითხველო, დიდხანს ნუ დავყოვნდებით და ისევ სამაგალითო წარსულს და ამ მხრივ, მართლაც საამაყო კაცებს დავუბრუნდეთ,

ვინც ჩვენს საამაყო ისტორიას ქმნიდა...

პროექტი დასამტკიცებლად პეტერბურგში გაიგზავნა. პროცესის დასაწყობებლად და საბანკო საქმის შესასწავლად, 1873 წელს ილია სახელმწიფო სამსახურიდან გადადგა და რუსეთში გაემგზავრა. ბოლოს, როგორც იქნა, 1874 წლის 28 მაისს დამტკიცდა თბილისის სათავადაზნაურო საადგილობრივი ბანკის წესდება, რომელიც გახეთ „დროებაში“ დაიბეჭდა. ასე დასრულდა პირველი ქართული ბანკის დაარსების მრავალწლიანი, პერიპეტეებით აღსავსე ეპოქა. 1876 წლის 1 მაისს გაიხსნა ქუთაისის საადგილობრივი ბანკიც.

ილია ჭავჭავაძის საბანკო მოღვაწეობის ცნობილი მკვლევარი, იოველ ასათიანი, ძალზე საინტერესო, ზოგ შემთხვევაში კი უნიკალურ ინფორმაციას გვაწვდის. ბანკის დაარსების ასეთი ფართო შინაარსის ფორმულა და დემოკრატიული პრინციპები რუსეთის იმპერიის პრაქტიკაში იმ დროს არ არსებობდა: დამფუძნებელთა მემკვიდრეები ცალ-ცალკე დებულობდნენ წევრი დამფუძნებლის უფლებას; ამ უფლებით, სრულწლოვან შვილებს მშობლების სიცოცხლეშიც შეეძლოთ ესარგებლათ; დამფუძნებელ წევრებად, ყველა მათი უფლებით, შეეძლოთ ყოფილიყვნენ ქალებიც. აღნიშნული პრინციპები წლების განმავლობაში წევრ დამფუძნებელთა რიცხოვნობის მუდმივ ზრდას უზრუნველყოფდა.

მოგვიანებით, სპეციალურად თბილისის საადგილობრივი ბანკისთვის, აიგო მონუმენტური შენობა. მისი მშენებლობა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით 1902 წელს დაიწყო და 1913 წელს დამთავრდა. ამჟამად, იქ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკაა განთავსებული.

XX საუკუნის დასაწყისი მთელ ეკროპსა და რუსეთში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისით ხასიათდება. საბანკო-საკრედიტო საქმიანობა საქართველოშიც საკმაოდ გართულდა. ილიას მოჰყავს მაგალითები ბესარაბიის, პეტერბურგ-ტულის, დონის, ვილენის ბანკების წარუმატებელი საქმიანობისა და კრიზისის შესახებ, რაც ასევე მამულების ბანკებში დატოვებით არის გამოწვეული.

მაგრამ, „ზოგიერთ კაცთა“ სუბიექტური მოტივები, როგორც საბაბი, ყოველთვის პოულობს გასაქანს კრიტიკულ სიტუაციაში, თუნდაც პრობლემის მიზეზი სრულიად ნათელი და ცხადი ობიექტური ფაქტორები იყოს. ადამიანთა განწყობის ეს საყოველთაო ფსიქოლოგიური მოტივაცია, ზედმიწევნით (და მრავალჯერ) აისახა როგორც თბილისის ქართული საადგილობრივი ბანკის ცხოვრებაში, ისე მთლიანად, საქართველოს უახლეს თუ თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ილია ჭავჭავაძის მოტივები საყოველთაო კრიზისის შესახებ საბანკო საბჭოს კრებამ არ გაიზიარა. შედეგად, ბანკის გამგეობის თავმჯდომარის რეაქცია რადიკალური და მოულოდნელი იყო. მან გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ, მაღლობა მოახსენა კოლეგებს თანამშრომლობისთვის, დაემშვიდობა დარბაზს და დატოვა სხდომა. საბაბი, ალბათ, აქაც ფორმალური იყო.

ამგვარად, დასრულდა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საბანკო სფეროში, რომელიც მთელი 30 წელი გრძელდებოდა – 1875-1905 წწ.

ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებათა

ნუსხა, რომელთა რეალიზაციისთვის ფინანსური მხარდაჭერა უშუალოდ უკავშირდება თბილისის საადგილობრივი ბანკის, საკმაოდ ფართოა.

ამ ნუსხაში გამოსაყოფია:

1. ბანკის მოღვაწეობა განათლების სფეროსა და ეროვნული კადრების მომზადების მხარდასაჭერად, რაც ცარისტული მთავრობის ანტიქართულ პოლიტიკას უნდა დაპირისპირებოდა;

2. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება და ორგანიზაციულად ჩამოყალიბება, რაც ბანკის მხარდაჭერის ერთ-ერთ პრიორიტეტად განიხილებოდა;

3. კახეთის რკინიგზის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების წამოწყება და ფინანსურ-იდეოლოგიური უზრუნველყოფა;

4. ქართული თეატრის განვითარებისთვის ზრუნვა, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწრთველ სკოლად განიხილებოდა.

საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში თითქმის არ დარჩენილა სფერო, სადაც ქართულ საადგილობრივი ბანკის თავისი მიზანდასახული პოლიტიკა არ გაეტარებინა. ბანკი, საერთო სარგებლობის, სასოფლო-სამეურნეო და ექსტრათრადიციული ფონდებიდან აფინანსებდა სასწავლო დაწესებულებებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს და გაზეთებს, საეკლესიო დაწესებულებებს, სტიქიით დაზარალებულებს, კერძო პირებს და ა.შ. სულ 1875-1909 წწ. ბანკს საზოგადო საჭიროებისათვის გაუღია 1.944.136 მანეთი და 38 კაპ.

იმ პერიოდში, ქართული ბანკების საქმიანობის მთელ ისტორიას, ლაიტმოტივად გასდევდა ფიქრი, ზრუნვა და განსჯა მომავალზე, ახალ საქართველოზე. პრაქტიკულად, ბანკი საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ფუნქციას ითავსებდა!!!

მკითხველო, ძალიან მინდა, ის არაფორმალური „პარლამენტი“ და „მთავრობა“, სულისკვეთებით, დღევანდელს – ლეგიტიმურ, ფორმალურ ხელისუფლებას შევადარო, მაგრამ ვერ ვახერხებ. ახალი თაობის „მამოლიშვილთა“ ძიებაში ხელს მიშლის დღევანდელი რეალობა – სულიერებისგან და ეროვნულობისგან დაცლილი, ხელისუფლების ამქარს მიტმასნილი სუბიექტების დაუოკებელი ამბიციები, მედროვე ჩინოფიკური სული და მათი მომხვეჭველური ბუნება!!!!

აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის სიტყვა თბილისის საადგილობრივი ბანკის წლიურ კრებაზე 1895 წლის 20 მაისს. ეს სიტყვა ილიას შემოქმედების ყველა კლასიკურ გამოცემაშია შეტანილი.

ამ გამოსვლაში ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი საბანკო თემაზე. აქ, ორატორის აზრი სცილდება საბანკო საქმის არსს და მოგების ხიბლს. ის საქართველოს ექვს-საუკუნოვანი დანაწევრების ტკივილით და გამოღიანების მოლოდინითაა გაჯერებული, რაც, ორატორის სულ 3 წუთიან გამოსვლაში ჩაეგტია (იხ. სიტყვა: ი. ჭავჭავაძე, ტ.4, გვ. 437).

დაბოლოს, მინდა ვთქვა, რომ ამ თემაზე დიდი სიამოვნებით ვმუშაობდი. ზნეობის გაკვეთილებითაა აქ მოყვანილი ფაქტები. ბანკის დაფუძნების იდეა და საქმე, ერთი დიდი პოემასავითაა – ადამიანთა სიყვარულის, მათზე ზრუნვის პოემა... ამას ღირსეული კაცები აკეთებდნენ, უბრალოდ, უხმაუროდ, და ყოველივეს ჩვეულებრივ, კაცურ მოვალეობად თვლიდნენ.

ესლა?

პირდაპირ თავს გვაჭამენ მოპოლიტიკოსო არსებები, თავი კაცები რომ ჰქონიათ, და ქვეყანას „მართავენ“, პარტიებს ქმნიან და ეს საქმე ბიზნესად უქცევიათ. არც ეროვნულად მოაზროვნე და არც ღირსებაშენარჩუნებული ქართულ პოლიტიკაში თითქმის აღარ მეგულებია. ხოლო, აქ მოხვედრილი ნებისმიერი წესიერი კაცი, სულ მალე უწევს ხდება.

მკითხველო – ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ჩაიბარე ქვეყანა და... გააგრძელე საქართველოს ღირსეული ისტორია!

ნუგარი მიხანაშვილი

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუბაიძის ორბანიზაცია  
თანაუბრძოლს ბატონ ვახტანგ (ლოთი) ქობალიას დის  
ნონიკო ქობალია-ბუღიას  
ბარდაცვალების ბაზო

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუბაიძის ორბანიზაცია  
მფუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა  
თამარ (თამუნა) გერმენელია  
და თანაუბრძოლს იმეზა ნიკა ბობოხიას, მის ორ მცირეწლოვან  
შვილს, დედამთილ-მამამთილ მაღონა მაქაცარიას და ელდარ ბობოხიას.  
უშალმა სასუფრეელი დაუმკვიდროს თამუნას სულს...



სვანეთის რკინის ქალაქი – ქრისტემდე რამდენიმე საუკუნით აღრიცხული მეტალურგიული სახელოსნოს ნაშთები



“სვანეთის მთებში შეფენილ უზარმაზარ მეტალურგიულ ქალაქს 3 დიდი კრემაციული მოედანი ემსახურებოდა ძვირფას მიცვალებულთა დასაწვავად და იმ ქვეყნად გასაცემლად”

ერთმა აქაურმა რამდენიმე წლის წინ ახალი სახლის მშენებლობა წამოიწყო. ტრაქტორი მიწის გასწორებისას მოულოდნელად უზარმაზარ ორმოში გაუჩინარდა – ქრისტემდე რამდენიმე საუკუნით აღრიცხული მეტალურგიული სახელოსნოს ნაშთები იყო. სწორედ ამ სახლის გვერდზე აღმოვაჩინეთ ტყუპი ქურა. ცხადია, სახლი რკინის სახელოსნოზე აშენებული, მაგრამ ამ კაცს სახლს ხომ არ დაუგუნჯრევთ. ჭუბურის ხეობაში, სოფელ ლარილარში, კიდევ ერთი სახლი ინახავს საიდუმლოს...

გვიან შემოდგომაზე ან ზამთარში, როცა ბობოქარი ენგური ოდნავ მიწინარდება, ვინმე ბედნიერმა მის რიყეზე შეიძლება ოქროც კი იპოვოს... ამჯერად არა ოქროზე, არამედ სვანეთის სხვა სიმდიდრეზე – რკინაზე გიამბობთ. ბრინჯაოს, სპილენძისა თუ ოქრო-ვერცხლის ხანის შემდეგ გამძლე რკინა იქცა კაცობრიობის მდიდრებად და ღარიბებად დაყოფის მახედ – გამდიდრდნენ ისინი, ვის ხელშიც ის აღმოჩნდა, ამიტომ შეფასდა რკინა ოქროზე მეტად. კოლხებს მაშინდელ კაცობრიობაში ძალიან გაუმართლათ, აქ რკინაც უხვად მოიპოვებოდა და ნიჭიერებაც – ხალიბები რკინის დამუშავებაში ისეთი ბრწყინვალენი აღმოჩნდნენ, რომ მათზე ძვ.წ. პირველი ათასწლეულის დამდეგიდან ჯერ ურარტუელები წერდნენ, მერე კი ელინები. XX საუკუნის არქეოლოგებმა კი კოლხეთში უძველესი რკინის სადნობი ქურებიც აღმოაჩინეს, თუმცა არა იმდენი, რომ ხალიბთა ოსტატობის ლეგენდა ჩვენ თვალწინ მართლაც გაცოცხლებულიყო. გამოცანად რჩებოდა, თუ სად ან როგორ ადნობდნენ იმდენ რკინას კოლხები, რომ მაშინდელი კაცობრიობა იცნობდა მას და ყიდულობდა! 5 წელიწადია, რაც ამ საიდუმლოს ფარდა სვანეთში ეხდება.

წლებიანდელი აღმოჩენებით აღტაცებას ვერც არქეოლოგები მალავენ – მხოლოდ ჭუბურის ხეობაში, 50-60 მ-ზე, მიწიდან “ამოიწვერა” ხალიბთა ოსტატობის და მსოფლიოში განფენის სიმბოლო – დაახლოებით ძვ.წ. VII-VI საუკუნის მეტალურგიული ცენტრი თავისი სიმდიდრით, სამსხვერპლოებითა და კრემაციული სამაროვნებით. სვანეთის მთებში შეფენილ უზარმაზარ მეტალურგიულ ქალაქს 3 დიდი კრემაციული მოედანი ემსახურებოდა ძვირფას მიცვალებულთა დასაწვავად და იმ ქვეყნად გასაცემლად.

ზვიად კვიციანი, არქეოლოგი, პროფესორი, არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი:

– ძვ.წ. IV-III ათასწლეულების ბრინჯაოს თუ სპილენძის ნივთებს გვიან შემოდგომაზე ენგურის ხეობაში ოქროს მაძიებელი ე.წ. “შავი არქეოლოგები” დღესაც პოულობენ (მაგალითად, სპილენძისა და ბრინჯაოს ცულებს, შუბისპირებს, სატყვეებს...), რომელიც, თუ ბედმა გაგვიღიმა და არ გაიყიდა, მუზეუმში გადაინაცვლებს. ჩვენი ვარაუდით, ეს ნივთები ენგურში იმიტომ მოხვდა, რომ მათ ადგილობრივი მოსახლეობა წყლის ღვთაებას სწირავდა! ხოლო ის, რომ აქ ხალხს მრავალღვთაობა საკულტო ტაძრები ჰქონდა და მათ მსხვერპლს სწირავდა, არა მხოლოდ ჩვენ დაგვიდასტურებთ საოცარი აღმოჩენებით, არამედ ის ხალხის ჩვეულებებიც არის შემორჩენილი – გაზაფხულის

დადგომისას, როცა სვანს პირუტყვი პირველად გაჰყავს საძოვარზე, შინიდან აუცილებლად რაიმე მცირე რკინის ნაჭერს გაიყოლებს, მდინარეში გადააგდებს და წყლის ღვთაებას შესთხოვს, რომ პირუტყვი შინ უვნებელი დაუბრუნოს და დიდი წველაღობა მისცეს.

ჩვენი აღმოჩენის მიხედვით – სვანეთში რკინის წარმოების მთელი “ქალაქი” ყოფილა. 80-იან წლებში პირველი გათხრები აქ არქეოლოგმა შოთა ჩართოლანმაც ჩაატარა და 2 კრემაციული სამარხიც აღმოაჩინა, მაგრამ ბოლო წლებში აღმოჩენილმა გაგვაოგნა.

ჭუბურის ხეობა

აქაურობა რკინის სადნობი ქურებით არის გაძეცილი. მხოლოდ ხაიში 10-მდე არქეოლოგიური ძეგლი გავთხარეთ და ძვ.წ. VII-IV საუკუნეების ანტიკური საკულტო კომპლექსის ნაშთებიც აღმოვაჩინეთ ქურებითა სამსხვერპლოთი, მსგავსი საკულტო კომპლექსები მთელ ელინურ სამყაროში იდგა და ქურები ქალები ღვთაებებს მსხვერპლს სწირავდნენ, ძირითადად სამკაულებს ანდა ნაყოფიერების სიმბოლოს – კვერცხის მსგავს რიყს ქვებს. შემდეგ სამსხვერპლოში ცვეცხლს ანთებდნენ და ამ ნივთებს წვედნენ ღვთაებისადმი პატივისცემის ნიშნად.

კვერცხი დღესაც ითვლება გამრავლებისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ, თუმცა ამ აღმოჩენაში საოცარი ის არის, რომ მთელ მსოფლიოში სამსხვერპლოდ შეწირული ქვის კვერცხებია აღმოჩენილი. სვანეთში, ქვის კვერცხებთა ერთად აღმოჩნდა გამომწვარი თიხის კვერცხებიც. “სვანურმა” კვერცხმა გაგვაოგნა – გატყდა. ანუ ეს ქვა არ იყო, ეს იყო კვერცხის ფორმის თიხა, რომელშიც კიდევ თიხის კვერცხი იდო; ესე იგი, აქ საქმე იმ დონემდე მივიდა, რომ სამსხვერპლოდ უკვე გამომწვარი თიხის კვერცხებსაც კი სწირავდნენ. სხვათა შორის, მსგავსი სამსხვერპლოები ეცერსა და უშგულშიც არის აღმოჩენილი. ამაზეც ეტყობა, რა ურთიერთობები გექონდა მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროსთან – რაც იყო ათენში, იგივე იყო უშგულშიც. არც არის გასაკვირი. მთელ ჭუბურის ხეობაში, 60-50 მ-ზე, კირქვით შებათქამებული მეტალურგიული სახელოსნოები, რკინის სადნობი ქურებია გაშლილი, შიგ რკინის ნაღვენიც არის დარჩენილი. სოფელ ლახაში ტყუპი ქურაც კი აღმოჩნდა.

აქაურმა გოგა ჩხეტინამ რამდენიმე წლის წინ ახალი სახლის მშენებლობა წამოიწყო. ტრაქტორი მიწის გასწორებისას მოულოდნელად უზარმაზარ ორმოში გაუჩინარდა – ქრისტემდე რამდენიმე საუკუნით აღრიცხული მეტალურგიული სახელოსნოს ნაშთები იყო. სწორედ ამ სახლის გვერდზე აღმოვაჩინეთ ტყუპი ქურა. ცხადია, სახლი რკინის სახელოსნოზე აშენებული, მაგრამ ამ კაცს სახლს ხომ არ დაუგუნჯრევთ. ჭუბურის ხეობაში, სოფელ ლარილარში, კიდევ ერთი სახლი ინახავს საიდუმლოს...

ეხოში მანუბის ასაშენებლად მიწა გათხარეს. წარწერიანი სტელა ამოიღეს და სახლის კედელს ჩაატანეს. ამ ოჯახის ამჟამინდელი მეპატრონის, გია ჯაჭვლიანის ბიძას ფურცელზე ზუსტად გადმოუტანია სტელაზე ნაკვეთი ფიგურები. მისი გარდაცვალების შემდეგ ჩანაწერი დაიკარგა. არავინ იცის, რა საიდუმლოს ამოხსნა შეუძლია ამ სტელას.

არქეოლოგმა შოთა ჩართოლანმა 80-იან წლებში სოფელ ლარილარში ძვ.წ. VI-IV და IV-III საუკუნეების ორი კრემაციული

სამაროვანი აღმოაჩინა, წელს ამ სამაროვნიდან 50 მეტრში კიდევ ერთი კრემაციული მოედანი დაგვაიქსირეთ.

– ეს ნიშნავს, რომ ჩვენი წინაპრები მიცვალებულებს წვედნენ.

– დიხ და ეს იყო უმაღლეს დონეზე აყვანილი პატივსაცემი რიტუალი. კრემაციულ მოედანზე მიცვალებულის იმ ქვეყნად დაწვით გაცილება იაფი არ იყო, ამიტომაც მხოლოდ მდიდრებს ფერფლავდნენ, ფერფელში კი მათი ძვირფასი სამკაულები რჩებოდა, რისი მოძიებაც შეიძლება.

– რამხელა კრემაციული მოედნები?

– ერთი დაახლოებით 50 მეტრი სიგრძისა და 15 მეტრი სიგანის არის, მეორე – 30 მეტრი სიგრძის და 10 მეტრი სიგანისა... მესამე ჯერ შესასწავლია. იმის თქმა შეიძლება, რომ სვანეთი, თავისი ცივილიზაციით, თანამედროვე კაცობრიობის ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი იყო – ჰქონდა მკვლავური, რაც დანარჩენ მსოფლიოს, მისი “მეტალურგიული ქალაქი” ხალიბთა სხვა მეტალურგიულ ცენტრებთან ერთად (რკინა დნებოდა რაჭის, აფხაზეთის, სამეგრელოსა და ჭოროხის ხეობებში) არა მხოლოდ კოლხეთს, არამედ მთელ წინა აზიას ამარაგებდა და სიმდიდრით ბრწყინავდა.

ნატურისთვისა – ხვითო

კვერცხი ძველ ცივილიზაციაში ნაყოფიერების სიმბოლო იყო. კვერცხის ფორმისა კერა – ყვერბი, ანუ ქალური საწყისი. კერა ოჯახის ცენტრში იყო გამართული, იქ ცვეცხლი არასოდეს ქრებოდა, კერასთან თავს იყრდა მთელი ოჯახი. კერაზე ჯაჭვი ეკიდა ზეცისა და დედამიწის კავშირის ნიშნად. აქ ბინადრობდა ადგილის დედა, ფუძის ანგელოზი. ნაყოფიერების ხოთხურ (მიწის) ღვთაებას ზომორფული სახე ჰქონდა, ეს იყო თეთრი გველი, მეხირი, ოჯახის “თვალდელი” – ნატურისთვისა პატრონი. ნატურისთვისა კვერცხის ფორმისა იყო. წელიწადში ერთხელ, შუაღამისას, მეხირის ზეიმზე, მროკავი გველთა დედოფალი სტომაქიდან ნატურისთვისა ამოსტყორცნიდა და ათამაშებდა. კაცთაგანი თუ მოახერხებდა მის ხელში ჩაგდებას, ისე უნდა გადაემადა, რომ მეხირს არ ეპოვა, თორემ ნატურისთვისა დაიბრუნებდა და გამტაცებლის ოჯახსაც დაგესლავდა. ნატურისთვისა, ანუ ხვითოს, მალავენდნენ ფქვილის კოდში, საბუდარში, ფულის ქისაში, რათა ოჯახს ბარაქა არ დაელოდა. მსგავსი ხვითოები – ქვის, მარმარილოს, ბროლის, კაქისა – მრავალადა სვანეთის ოჯახებსა და მუზეუმში.

მეხირი ბინადრობდა სახლში. მთელი ოჯახი პატივს მიაგებდა მას, უვლიდა, ვრიდებოდა. დღესასწაულს უმართავდა, მას “ქორა ლემზირი” ერქვა. კერის გველს მხოლოდ ზრდასრული, შვილიერებისთვის (ნაყოფიერებისთვის) მზა ქალები ემსახურებოდნენ, უცხოებდნენ სვანებზე ლემზირებს. ამ წესის აღსრულებისას მამაკაცს არ იკარებდნენ – ოჯახის მფარველი არ გაჯავრდესო. კერასთან არ შეიძლებოდა ჩხუბი, უშვერი ლაპარაკი – სვანურში ფაქტობრივად არ არის გინება.

შემდგომში ზომორფულმა (კვერცხი, გველი) ხოთხურმა ღვთაებამ სახე იცვალა და ქალად ჩამოყალიბდა (ნაპოვნია კერაში ჩაფლული მეხირის და ქალის ფიგურები). შემდგომში ფუძის ანგელოზი ანუ ოჯახის მფარველი ღვთისმშობელმა ჩაანაცვლა.

ვიმერ მრამე

სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადება

ავუსს უჩქუ ლერსიშ თირი

ავუსს უჩქუ ლერსიშ თირი, გემკისურენქ არძა ლურსუ, თემ რე გური გოფალირი, პავა დინოსურთქინუნსე.

მოურს, მოურს, თუთარჩელა კოთხოზე გა ღო გასე, მა ვორუქო ლერსიშ ხელა, თუ შურ მიკოცანცალანსე?

გოპუელე ვე ღო გვალა, ქიგურჩაფე რწვანე დოლო, ლერსი ორე შურიშ დალა, დაჭყაფუე ღო მინშა ბოლო.

\*\*\*

რინა თიშნერ წკურილ ორე, მენწარეფსე ვაჭყუეს, უჩა ღართი ქინგოფორეს, დინას ქიმთგობანჯუეს.

მეტყურეფიშ ნაბურდინა ხოლო მაცანცალაუფე, დლა ღო სურთი ოკო ჯინა სქან ნერნიში ფალუსა.

ირქენს, უჩურცხალი ორე ისტორიაშ ბორია: “ღვარას ღვარა ქუწილი ღო დინას ქიმთათხორია”.

გვერდო ღურელ მუჭო ცოფექ, აიშას დინას ხოხი-და, ამდლა დუდი გემწაჭოფე, ომარგალე, კოლხიდა!

\*\*\*

თენა გეჭარ ირკოსე ღო თენერ რინა მოჭარეს, ბუა გველასი დიქოსე ღო იშენთ მოურცე ოქმარე.

მედინაფე კონანა, მუშოთ გოკო ინიე, არძას ფსუა ქონანაფე, არძა ვაგეჩიხიფე.

დონისრევე ოწონდე, ნოფა მონტუ უალე, შხვაშ გოთანა მოწონდეს, წკვარამ სერიშ სქუალეფცე.

ბიორბი ხულორდა. ოფუტე, სალხინო

ბერეხა

ხსორიაშ მანგო ანათენს, რჩქინელ კათაშ გომორჩქინა სით გიყუნე კვალირ ნაველს, უბადო, კონწარ ვა ქიმიხა ოდაბადე ჩქინ ამაყენს, კათა გერონეფიშ გოშინათ. ზვიად ღო მერაბიშ დიდებათ, კონცტანტინეშ უღურ შინათ. ოქორთუეშ ყოროფა რდ, თინეფიშ თარ გურიშ გამა. დო ზვიადიშ შარას ჯღონს, ვარკალარაშ მილანამა. გოშინაქ ოკო იყუას, თუ დიდ კათაშ ირიათო. ოქორთუეშ სკუალეფე, ყოფერედათ ირო ართო!

ბად კორე

ბად კორე რექ სი ჭანაფორ, ირო ხოლ სკან რინას. ჯვირ ოქიმეფს გეგაფორ წიმოხ გილუდას თინას... სი გხორონს ბედნერ გამა, ნოლას, ხორეფონს ძინა კათაშ ორინეშ სკვამა, ეკონაშ ეკო გინა. თელ ჩქინ ოელე ქიანას რდას კეითრა დო ძინა. ელმოლს ხვამა მიანას, ბად სკან ბალ დო რჩქინაშ!

მალხაზ ბრიბოლია, აბაშა





# მეგრული (იბერიული) ენის ფენომენი

**(მნიშვნელობა და მონაცემები სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის) ჟინასიტყვაობა**

მსოფლიო არენაზე ესა თუ ის ერი მყარ ადგილზე მკვიდრდება და ფასდება იმის მიხედვით, თუ რას გასცემს იგი მსოფლიო საზოგადოებას და რა წვლილი შეაქვს მას კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. მაგრამ დაწინაურებული ერი როცა მიეცემა მიღწეულით კმაყოფილებას და დროის ტარება-ჰედონიზმს გაიხდის ცხოვრების წესად, თუნდაც, რომ წარმოადგინოს მოსალოდნელი ნეგატიური შედეგი, ძნელად თუ შეეძლება სორციელ სიამოვნებას და სანამ ბოლომდე არ დაეცემა, ვერ შეაჩერებს სულიერ დეგრადირებას. ხშირად ასეთი ერი შორდება რა მისთვის აუცილებელ მიზანს, კარგავს თავის ფუნქციას ქვეყნისა და კაცობრიობის წინაშე და საერთოდ, ქრება მსოფლიო სარბივლიდან. ამიტომ ბევრმა უძველესმა ერმა საუკუნეების წინათ დაამთავრა თავისი არსებობა და განისვენებენ ისტორიის სასაფლაოზე. მაგრამ თუ გაიზარა დაცემის მიზეზი, შეძლო თავის ევოლუტურ მოთხოვნებზე ამაღლება და მოახერხა წამოღვომა, შეიძლება, ადრინდელ დონეზე დიდად ამაღლდეს, სულიერი კიბის უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს და ზნეობრივადც აბსოლუტურ სრულყოფილებას – ღმერთს დაუახლოვდეს, რასაც მოსდევს ზნეობრივ-სულიერი კულტურისა და მატერიალური ცხოვრების დონის ამაღლება.

წინასწარ მინდა აღვნიშნო, რომ მსოფლიო არენაზე წინაპართა ადრინდელი დაწინაურება – ავტორიტეტით ბაქიობა და ტრადიციული კვლავი ერის თვისებაა და აწმყოში მცხოვრებ ერს სამარცხვინო და სასაცილო მტკონმარებაში თუ არ ჩააგდებს, პოზიტიურს ვერაფერს მოუტანს. მაგრამ დიდ წინაპართა და წარსულში დაწინაურებულ ერთა სულიერ-ზნეობრივი ამაღლებისა და აყვავებული კულტურის განმაპირობებელ კანონზომიერებათა შესწავლამ და გათავისუფლებამ, გამორიცხებულია, სასურველი შედეგი არ გამოიღოს, რადგან სულიერ-ზნეობრივ ამაღლებას და აყვავებულ კულტურას განაპირობებს უზუნაესი შემოქმედის მიერ დადგენილი კანონზომიერებების შეცნობა და ამ კანონზომიერებებთან პარმონიული თანაცხოვრება.

უძველეს იბერთა აყვავებულ კულტურასა და წარმატებებზე ეროვნული ისტორიული წყაროები, გარდა ურთიერთ საწინააღმდეგო შეხედულებებისა, ნაკლებად მოგვეპოვება, განადგურებულია მიზანმიმართულად. შედეგად ბევრი ეროვნული იბერიული მონაპოვარი სხვა ერების მიერ მითვისებულია, ხოლო რისი მითვისებაც ვერ შეძლეს, ბევრი ადგილია პირისაგან მიწისა, ან კიდევ, დამალული და დავიწყებულია. მაგრამ „არ არის დაფარული, რომ არ გამოქვამდეს და დამალული, რომ არ გაცხადდეს“.

### ძართველი ერის ისტორია სამარ-ცხვილოდ გახალისებულია

საინტერესო ცნობებს გვწვდებიან უცხოელი ავტორიტეტები იბერებზე. ყველა

დროის უდიდესი გერმანელი მეცნიერი ვილჰელმ შუმპლერი ნაშრომში „იბერთა ენოლოგის შესახებ“ წერს: „იბერიული ცივილიზაცია ვრცელდებოდა პირინეიდან ინდოეთამდე“. ეს ჭეშმარიტება მითაც დასტურდება, რომ ხმელთაშუა ზღვის აუზის ენებში მოძიებულია 5000-მდე სიტყვა, იდენტური იბერიული მოდგმის ენების ლექსიკონსა (იხ. რისმაგ გორდუხიანის, პოლანდიელი მეცნიერის ფურნეს და სხვათა შრომები). 1899 წელს გერმანელი მეცნიერი ს. კრაუსი წერდა: „დამერიზმების ანბანურ კატალოგებში იბერიული დამწერლობა არსად არ აკლია და საყურადღებოა ისიც, რომ ბიბლიურ 70 თუ 72 რესპექტიულ წინათა 15 დამწერლობას შორის იბერიული ყოველთვის პირველ ადგილასაა ნახსენები“. ამ ჭეშმარიტებას ადასტურებს ჩვენი „ძველკოლხური ენის სიაღმელოებანი“ („ქართული ასომთავრული ანბანის ძველკოლხური ფესვები“, „კაცობრიობის პირველი ანბანი ქართული ასომთავრული, თუ მხედრული?“) და „მეგრული (იბერიული) ენა ქართული ენის დიალექტი, თუ გლოტოგონიური ფენომენი?“.

I საუკუნის ებრაელი მეცნიერი იოსებ ფლავიუსი წერდა: „თუბალები წარმომდგარი იაფეტის შვილის – თუბალისაგან, იწოდებიან იბერებად“ (იხ. ი. ვიფშიძე, Грамматика Мингрельскаго (Иверскаго) языка). ეს ცნობა, მავანთა სურვილის საწინააღმდეგოდ, საინტერესოა იმით, რომ აქ ხაზგასმულია ტერმინი იბერი თვით სახელწოდება და არა ბერძნული, ან რომელიმე უცხოური.

554 წელს გუბაზ მეფის მკვლელობის გამო გამართულ სახალხო კრებაზე სპარსული ორიენტაციის აიეტის ისტორიულ სიტყვაზე ვკითხულობთ: „თუ ვერ მოგნახუთ სპარსელებთან საერთო ენას, ისიც უნდა ვიკმაროთ, რომ ძალიან არ დაგეგზვრონ იმათ, ვინც წინათ მუდამ ჩვენი ქვეშემდრომი იყო“ (ინტერპრეტაცია ჩვენი, კ.ჟ.).

ცნობილია, რომ 523 წელს, იბერთა დაცემის შემდეგ, სახელმწიფოებრიობა გაუქმდა, მაგრამ, სპარსელთა ვერაგული გეგმის თანახმად, ძალაუფლება, ვასალის სტატუსით, ქართლებს გადაეცა (იხ. ექვთიმე თაყაიშვილი „როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ“, ჟ-ლი მნათობი, 1948, №8). მაგრამ სპარსელთა ბატონობა ისე აუტანელი გახდა, რომ 571-74წ.წ. სპარსეთ-ბიზანტიის ომის დროს, ქართლი სპარსელებს განუდგა, ბიზანტიელებს მიემხრო და სპარსელებთან გამარჯვებაში გარკვეული წვლილი შეიტანა, მაგრამ ქართლს სამეფოს სტატუსი 888, თუ 899 წლამდე არ მიუღია (პირველი მეფეა ადარნასე II ბაგრატიონი).

ზემოთ აღნიშნულიდან ცხადია, რომ პროტოქართველები იბერები იყვნენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ 523 წლამდე ჩვენს ქვეყანას იბერია ერქვა.

ვინ იყვნენ იბერები? ქართული მეცნიერების პატრიარქი – ივანე ჯავახიშვილი იხილავს რა ქართველი ერის შემადგენლობას, იბერებად მეგრულ-ჭან-ლაზებს მიიხსენებს (იხ. მისი ქართველი

ერის ისტორია, ტომი I, 2011, გვ. 18); პროფ. იოსებ ვიფშიძე თავისი ნაშრომის „Граматика Мингрельскаго (Иверскаго) языка“ სათაურშივე მიუთითებს ე.წ. მეგრულთა იბერობაზე და ამას ფონეტიკური კანონზომიერებითაც ამტკიცებს.

რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები? ქართლურზე, როგორც გვარგადაკეთებული სომეხი – ლეონტი მროველი წარმოგვიდგენს და მისი მიმდევრების სურვილია, თუ იბერიულზე, რა ენაზეც დღეს ე.წ. მეგრულები მეტყველებენ?

ამ კითხვების პასუხს იძლევა აკად. ივანე ჯავახიშვილი: „... ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე ქრისტიანობის ნადავზე აღმოცენებულ ქართული მწერლობის ენა ქართლურია, ხოლო ქართველი ხალხის უძველესი ხანის კულტურის შესწავლა უძველესი პეოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინადაც მრავალ საუკუნეების განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ, შესაძლებელია, შემდეგ გამოირჩევიდეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნოდეს, არამედ მეგრულ-ლაზურსა, ან სვანურ შტოს. ამის გამო ქართულ ენა-ილოკავების შესწავლას ჩვენის ერის უძველესი წარსულის შესწავლისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება კიდევ ყოველთვის“ (იხ. მისი ქართველი ერის ისტორია, ტომი I, 1908, გვ. 20). რა თქმა უნდა, პიპოტუხა საკმარისი არ არის, მაგრამ, როცა ამ პიპოტუხას რეალობები ადასტურებენ, ეს უკვე დამარწმუნებელია და მისი მოგონილი ზღაპრებით უარყოფა უმეცრების დამადასტურებელია, ან, უბრალოდ, სურვილია.

ივანე ჯავახიშვილის პიპოტუხას ადასტურებენ ქვემოთ წარმოდგენილი მტკიცებულებები და აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ტოპონიმები: ერგნეთი (←ერგნი←ერგნი); ჭიჭხევი (პატარხევი); ჩარგალი (←ჩარგალი← უჩარგალი← უჩარგალი (შაგ-ღელე); ჭალეთი (შხიანეთი); გორი (ქეგე); გურჯაანი (ხეთა გული, ტყის გული); ხაშური, რაც დაქარაგმებული ფორმაა სიტყვათა კომპოზიციისა ხა[ლა]შური[ში] (შობა სულისა); ოკამი (←ოკამე), რაც საკამეს ნიშნავს და ა.შ.; პიდრონიმები: ღებურა (ავადყოფურა); არაგვი (დაეცავე) – ეს პატარა მდინარე ასჯერ უფრო დიდ მდინარეს – მტკვარს ისეთი სისწრაფითა და სიმძლავრით ეტაკებოდა, რომ ტბორავდა (ეხლა შესართავი დატბორილია ზაქვისის კაშლით); მტკვარი უნდა მომდინარეობდეს სიტყვიდან „მტკვარ-ტკვარი“, რაც მდინარის ერთგვარ დინებას ნიშნავს. ქართულად ამ ტოპონიმებს და პიდრონიმებს ეტიმოლოგია არ ეძებება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, იმ ჭეშმარიტებას, რომ ვაერთიანებული იბერიის სახელმწიფო და სალიტერატურო ენა, არა ქართული, არამედ იბერიული იყო, ხოლო ქართული ენა სახელმწიფო და სალიტერატურო ენა 1008 წლამდე არასოდეს ყოფილა და მდებარეობდა ენად იყო დარჩენილი, მოწმობს დედანში ჩვენს დრომდე მოღწეული ყველაზე უძველესი წერილობითი ძეგლი – ივანე პეტრიწის „განმარტებანი პროკლე დიოდოსისის“ „მმართველობის საფუძვლებისა“, რომლის ბოლოსიტყ-

ვაობაში ვკითხულობთ: „... არავე ცრული სარეცეთა მომლოცვებისა ჩემისათა, და არცა წამი სასუენთა სულისა ჩემისათა, ვიდრემდის არა მომხედრა მე გონებითან ცისკარმან დღეთადმი, რომელთა ბნელი უმეცრებათა არდ ენაცვლებს; და აღვი-შურვე ტომისათვს გუართა ჩემისათა მე მიდმოობა ენისად გალექსებული და მესხუეი მდაბრიონთაგან...“ (ივანე პეტრიწი, შრომები II, გამოც. ს. ვაუხნიშვილის და შ. ნუცუბიძის მიერ, თბ., 1937, გვ. 220).

ამ ციტატიდან ცხადია, რომ აღნიშნული წიგნის პეტრიწისეული თარგმანი შესრულებულია მის მიერ ქართული ენის მიმართ გაწეული რეფორმის შემდეგ და ადვილი წარმოსადგენია რა დონის იქნებოდა ქართული ენა პეტრიწისეულ რეფორმამდე, როცა მისმიერი რეფორმის შემდეგდროინდელი ენაც ძველი ქართული ენის არასპეციალისტისთვის 50%-მდე გაუგებარია. მაგალითისათვის, შეადარეთ ივანე პეტრიწის ნაშრომიდან ზემოთ მოტანილი ციტატა თანამედროვე ენაზე შესრულებულ თარგმანს: „არა ვეც რული“ ჩემს სარეცელს და არცა წამი ჩემი სულის მოსასვენებლად, სანამ არ მომხედრა მე გონებითან ცისკარმადღისაკენ, რომელსაც უმეცრებათა სიბნელე აღარ ენაცვლება და აღვიშურვე მე, ჩემი გვარ-ტომისათვის შემექმნა „ენა სიტყვამდიდარი და განსხვავებული მდაბიოთაგან“ (მდიდრობა ენისად გალექსებული და მესხუეი მდაბრიონთაგან)...“ (ივანე პეტრიწი, განმარტებანი პროკლე დიოდოსისის „მმართველობის საფუძვლებისა“, პროფ. დამანა მელიქიშვილის რედაქციით, 1999, გვ. 214). ამიტომ აბსურდია ლეონტი მროველის მიერ მოჭორილი ცნობა, რომ ფარნავაზმა „განაგრცო ენა ქართული და არღა იზრახებოდა ქართლსა შინა სხვა ენა თვინიერ ქართლისა“, რადგან ასევე აბსურდია, რომ ქართულ ენაზე იყო დედანში დაწერილი მე-5 საუკუნის ძეგლი „შუშანიკის წამება“ და პეტრიწამდელად მიჩნეული სხვა წერილობითი ძეგლები, რომლებშიც ძველი ქართული ენის არასპეციალისტისთვისაც გაუგებარი არაფერია, ხოლო ექვსი საუკუნის განმავლობაში, მით უმეტეს, ქვეშევრდომობიდან განთავისუფლებისა და განვითარებისათვის თავი სუფალი ასპარეზის მოპოვების შემდეგ, განვითარების ნაცვლად ენის გაუხეშება გამოირიცხებოდა. უკეთესად რომ ვთქვათ, თუ პეტრიწის ეპოქიდან რუსთაველის ეპოქამდე, სახელმწიფო და სამწერლობო ენის სტატუსის მიღების შემდეგ, საუკუნუნახევარში შეეძლო მანამდე მდაბიო ენას კლასიკურ ენად ქვეყლიყო, რა უნდა მოსვლიდა ისეთი, რომ ფარნავაზის დროიდან „სამწერლობოდ გამოცხადებული“ ენა პეტრიწის ეპოქამდე მდაბიო ენად დარჩენილიყო? იბერიას (მავანთა სურვილით, ქართლს) ძვ.წ. აღ-ით 284 წლიდან ახ.წ. აღ-ის 523 წლამდე ხომ უღდა თავისუფლებისა და აღზევების პერიოდებიც? მაგრამ ქართული ენა 1008 წლამდე არასოდეს ყოფილა სახელმწიფო და სამწერლობო ენა. ამიტომ დარჩა იგი პეტრიწის ეპოქამდე მდაბიოთა ენად.

კუპუში ვიფია, (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ბანცხადება

თანამემამულენო! მე, ზურაბ კვარაცხელია, ადამიანი, რომელიც ყმაწვილკაცობიდან სრულიად შეგნებულად, ცნობიერად და ერთგულად ვარ ჩაბმული სამშობლოს აღორძინებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში... ოღონდ, საზგასმით გამობო: რეალურად დამოუკიდებელ, ეროვნულ-ტრადიციულ ღირებულებზე ორიენტირებულ სამშობლოსათვის ბრძოლაში, – ვგრძნობ რა ჩემს წილ პასუხისმგებლობას ერისა და ქვეყნის წინაშე, კატეგორიულად მოვითხოვ:

- 1) ე. წ. „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც დანაშაულებრივ ორგანიზაციას – აეკრძალოს ფუნქციონირება საქართველოს ტერიტორიაზე!
- 2) პირუთვნელი და ობიექტური გამოძიებით გამოვლენილ-იქნას მემ-ის ხელმძღვანელების თუ ცალკეულ წევრთა პერსონალური დანაშაულებრივი ქმედებანი და ასევე ობიექტური, დამოუკიდებელი სასამართლოს წესით განესაზღვროთ მათ შესაბამისი სასჯელი!
- 3) დანაშაულში მხილებულ თითოეულ პირს კანონის ძალით საშუალოდ აეკრძა-

ლოს პოლიტიკური საქმიანობა! P.S. აი, ამ განცხადების გაკეთება მომინდა ამ საღამოს... ფოტოს დაღება კი, განპირობებულია იმით, რომ მე ასე მწამს: სერიოზული განცხადებების უკან მუდამ უნდა იყოს პერსონალიზებული პასუხისმგებლობის გაცნადაც და არა გამოგონილი, არააღქვეტური ფსევდონიმები თუ ნიღბები..!



# მილოცვა

როგორც საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებიდან ბახდა ცნობილი, მარტვილის რაიონში შუალეულ საპარლამენტო არჩევნებში დიდი უპირობითობით გაიმარჯვა ჩვენმა მემობარგმა და თანამებრძოლებმა, ცნობილმა დიპლომატმა და საქართველოს ბუმბუშვალე პატრიოტმა ბატონმა სოსო დანელიამ.

ბულითადად ვულოცავთ ბატონ სოსოს დამსახურებულ გამარჯვებას და ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, წარმატებებს საღმრთო საქმიანობაში, რათა მან მთელი თავისი გამოცდილება და კალისხმევა მოახმაროს მშობლიური კუთხისა და სრულიად საქართველოს კეთილდღეობას!

როგორც იტყვიან, ბატონ სოსოს: „პალაც მოსდევს ძალიდისა“, რადგან მას ბაჩნია დიპლომატიურ, სახელმწიფო და პოლიტიკურ სტრუქტურებში საქმიანობის მდიდარი გამოცდილება!

ჩვენ ყოველთვის გვჭაბდა სოსო დანელიას გამარჯვებისა, რადგან დიდ პოლიტიკაში გამარჯვება მიიღწევა მხოლოდ სულიერი სისპეტაკითა და თავაზუბაელი შრომით!

კიდევ ერთხელ ბულითადად ბილოცავთ დამაჯივრებელ გამარჯვებას, კმაო სოსო!

როლანდ ჯალაღანია, დავით ძოგალია



დედა-ეკლესიას მოწყობილი წინდა სალოსავენი

უბრალო მოკვლევა ენაზე რომ ვთქვათ, მეოთხე საუკუნეში, ქრისტიანობის გარი- შრატზე, როცა ადამიანებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შუბლზე შემწრალი მირონი, სომხები უკვე აბუჩად იგდებდნენ ქრის- ტიანულ მრწამსს და არად მიაჩნდათ საკუთარი მზაკვრობა ქრისტეს სარწმუ- ნოების მიმართ. და ეს ადამიანები დღეს კრახანებით არიან შესული ქრისტეს საფლავს და, სამწუხაროდ, ჯერ არ გამოწ- ნდა ის რელიგიური ან საერო ძალა, რომელიც დასვამს სომხების, როგორც მკრეხელების, ქრისტეს საფლავიდან გარეკვის საკითხს.

აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების, ხოლო რუსების მიერ დასავლეთ საქართველოს ანექსირე- ბისთანავე სომხური სამღვდლოება მუდ- მივად ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სომხები კავკასიაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ და რომ ისტორიულად ლამის ყველაფერი მათზე იყო დამოკიდე- ბული. იმდენად, რამდენადაც საქმეში ჩახედულმა რუსულმა სამღვდლოებამ კარგად იცოდა სომხური მონოფიზიტიზმის ვერაგული ბუნება, და ისიც, რომ ქართველები რუსეთს სწორედ „ერთმორ- წმუნეობის“ ეგვიტო შემოუერთდნენ, სომეხ- მა არქივისკოპოსმა იოსებმა სომხურ- გრიგორიანულ სარწმუნოებასთან დაკავშირებით კეთილშობილური ინფორ- მაციის გავრცელებაზე იბრუნა. 1799 წელს სანქტ-პეტერბურგში რუსეთში დამკვიდრებული სომეხი ხალხის არ- ქივისკოპოსის იოსების წიგნი „სომხური ეკლესიის ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლობა“ გამოვიდა. 14-15 გვერდზე იგი ქრისტეს თაობაზე წერს: „ერთი სახე, ერთი იერი, შენითებულა ერთ ბუნებრი- ვობასთან“; 50-ე გვერდზე იოსები განმარ- ტავს, რომ „ბუნებრიობაში“ იგულისხმება „სახე“. მაშინ რა საჭირო იყო ორი მნიშვნელოვანი ცნების მოყვანა! ვასაგებია, რომ იოსები შეეცადა სომხების მონოფიზ- იტიზმის მიჩქმალვას. მან ასევე საიმედოდ მიჩქმალა სომეხი კათოლიკოსის იოანე მეოთხის სახელიც, რომელიც სომხურ ეკ- ლესიას წმინდანად ჰყავს შერაცხული და რომელმაც არაბი მუსულმანების საამე- ბლად ქალკედონის ეკლესია ანათემას გადასცა და შემდეგი გადაწყვეტილება გამოაქვეყნა: „ანათემა მას, ვინც იტყვის, რომ ქრისტე ადამიანი იყო, თავისი ბუნებით, რომ იგი იყო ხორცშესხული და გადაიტანა ხორციელი წამება, ეზიარა სიკვდილს ადამიანთა მსგავსად, ანათემა მას! ვინც არ აღიარებს ქრისტეს ერთსახ- როვან უკვდავ ბუნებრიობად, ანათემა მას!“

თუ იერუსალიმში, ქრისტეს საფლავზე სომეხთა მიძღვრება დავაკვირდებით ადღ- გომის ბრწინვალედ დღესასწაულზე ცეცხლის სასწაულებრივად გარდ- მოსვლისას, გამოდის, რომ იოანე მეოთხეს უპირველესად თვით სომხები დაუწყველია, რადგან, თუ ქრისტეს ადამიანურ საწყისს არ აღიარებ, მაშინ როგორ შეიძლება აღი- არო მისი საფლავი, სადაც, როგორც წესი, მხოლოდ ხორცშესხულ სულიერთა და- ვანება ხდება.

დამერტებს ხომ საფლავები არ გააჩნიათ! სომხებს ყველა ხერხითა და ძალით სურთ შეაღწიონ ქრისტეს სამარხში და საკუთრივ მიიღონ უფლის სასწაულებრივი მადლი – წმინდა ცეცხლი, მაგრამ, კვლავ უფლის ნებით, არაფერი გამოსდით. მოციქულებისა და წმინდა მამების ცნო- ბით, უნივთო ცეცხლმა ჯერ კიდევ ადღ- გომისას გააბრწყინა ქრისტეს საფლავი. ამ ნათელმა დააბრმავა ის რომელიც ჯარისკაცები, ებრაელი მღვდელმთავრების რჩევით რომ დაუყენა პილატემ აკლდამას. გადმოცემის თანახმად, მაცხოვრის საფლავზე აშენებულ ტაძარში ღვთაებრივი ცეცხლი პირველად მესამე საუკუნეში გადმოვიდა: საადღვომო ლიტანიობაზე კანდელებში ზეთი შემოაკლდათ. პატრიარქ ნარცისის კურთხევით, ისინი ხილოამის ემბაზის წყლით დაავსეს. ამის შემდეგ კი ზეციდან გადმოსულმა ცეცხლმა აანთო

ყველა კანდელი და ასე ერთ ლიტანიობის დასასრულამდე.

მას შემდეგ ეს სასწაული ყოველწლიუ- რად მეორდებოდა და მეორდება დღესაც. მაგრამ მავანნი ან უარყოფენ მას ან კიდევ მხოლოდ სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებენ: არც სახარება და არც მსოფლიო კრების არც ერთი დადგენილება არ მოწ- მობს ამგვარი სასწაულის შესახებო. არადა, თუნდაც მხოლოდ საღმრთო გადმოცემაც ძალიან მნიშვნელოვანია მართლმადიდე- ბელთათვის: თვით მოციქულები ეპის- ტოლებში ყველაფერს არ წერდნენ და აცხადებდნენ სურვილს მოწაფეებთან ზეპირ საუბრისას. მაგ. იოანე მახარებელი სწერს ეპისტოლეში: „მრავალი მინდა მივწერო თქვენდა, არამედ არა ვინებე ქარტითა და ნორმითა, რამეთუ ვესავ მოსვლად თქვენდა და პირისპირ სიტყვად“. სწორედ ასე გადმოცემით მოვიდა უამრავი რამ ჩვენამდე.

მავანნი იმასაც აცხადებენ, არანაირი მატერიალური საბუთი არ არსებობს იმისა, რომ ეს სასწაულია – ეს მხოლოდ ტრადი- ციული რიტუალის აღსრულებაა და სიმ- ბოლური გამოსახულება იმ ნათლისა, რომელიც ქრისტემ სოფლად მოიტანაო. ჯერ, ერთი, მხოლოდ სიმბოლურისა და სულიერის დანახვა სახარებასა და ქრის- ტიანობაში თავისთავად ქრისტეს ღვაწლის დაქინებება. მარტო სულიერი მხარე რომ ყოფილიყო მთავარი, არც უფლის განკაცება გახდებოდა საჭირო და არც ჯვარცმა. ეს მონოფიზიტთა სწავლების მსგავსია – განკაცებულ ქრისტეში მხოლოდ ღმერთის ბუნებას რომ ხედავენ და კაცისას უარყ- ოფენ. გამოდის, არც შიოდა, არც ტიოდა, არც სწუროდა და არც ჯვარცმისას განუცდია ტკივილი მთელი სისრულით. გამოდის, მთელი მისი 33 წელი ცხოვრებისა არ ყოფილა... არც მსხვერპლშეწირვა ყოფი- ლა, არც ჯვარცმა და არც გარდამოსხნა.

მაგრამ ჩვენ ხომ ზეციურ ცეცხლზე ვსაუბრობდით. მატერიალურ საბუთს ითხ- ოვენ ამ სასწაულის მოწინააღმდეგეები. და ამ საბუთად მაცხოვრის საფლავზე აღ- მართული ტაძრის ერთ-ერთი სვეტიც გამოდგება: ეს სვეტი სწორედ ამ ცეცხლმა გააპო შუაზე: როგორც იცით, ცეცხლის გადმოსასვლელად სამი პირობიდან პირველი სწორედ ისაა, რომ კუეუკლიაში მართლმადიდებელი პატრიარქი უნდა შეე- იდეს. პოდა, ერთხელ მონოფიზიტმა სომეხე- მა მოისყიდეს თურქები, რომელთა ხელშიც იყო ტაძრის გასაღები, გამოაძევეს იერუსალი- მის პატრიარქი და თავიანთი მწყემსმ- თავარი შეუშვეს შიგ. მართლმადიდებელი მღვდელმთავარი აცრემლბული დადგა ერთ-ერთი სვეტის უკან – ფიქრობდა, რომ თავისი ცოდვების გამო ვერ გახდა ღირსი კუეუკლიაში ყოფნისა. უცბად, დაიქუხა, მარმარილოს სვეტი შუაზე გაიპო და იქი- დან გადმოსულმა ცეცხლმა იერუსალიმის პატრიარქის ხელში აანთო სანთლები. ეს 1549 წელს მოხდა. მას შემდეგ ეს სვეტი მართლმადიდებლობის უტყვე მოწმედაა ტაძრის შესასვლელში აღმართული.

იერუსალიმის პატრიარქთა მოწმობით, ცეცხლის გარდამოსვლის წინ მაცხოვრის საფლავის მივლა „საუცხოო ფერებად მოქლეგრე მივიეს მარცვლებივით მიმობ- ნული მარგალიტებით იფარება. ბამბით შევროვებისას ეს მარგალიტები ზეთის წვეთებით ევერიან ერთმანეთს, ხოლო ბამბა, რომლითაც ამ წვეთებს ავროვებენ, სითბოს გამოსცემს“. როგორც კი ამ ბამბას სანთელს მიუახლოვებენ, პატრუქს ცეცხლი ეკიდება და სანთელი ინთება. მაშინვე თავისით ინთება მაცხოვრის საფლავის ყველა კანდელიც. მთლიანად ტაძრის სივრცე კი ცეცხლის გარ- დამოსვლის წინ მოციისფრო ელვით ნათ- დება. თავად ცეცხლი თბილია და არა ცხელი, და დაახლოებით 10-15 წუთის გან- მავლობაში არც წვავს.

ცეცხლის გარდამოსვლისათვის აუ- ცილებელია კიდევ ორი პირობა: ტაძარში უნდა იყვნენ საბაწმინდელი ბერები და მართლმადიდებელი არაბები. საბაწმინდელი

ბერების სიღმისეული ლოცვის წყალობით იქ მყოფთა გულგებშიც უნდა აენთოს „გო- ნიერი“ ღვთაებრივი ცეცხლი.

ხოლო მართლმადიდებელი არაბების როკისა და ყიჟინის გარეშე წარმოუდ- გენელია ცეცხლის გარდამოსვლა: ისინი სწორედ ისე როკავენ, როგორც ებრაელები როკავდნენ იერიქონის დაცემისას ან დავით მეფესალმუნე – აღთქმის კიდობანთან. ეს ძველადმოქმისეული ლოცვა-დადადისი სწორედ ამ არაბებსა აქვთ შემონახული. სხვათა შორის, ერთხელ ეს არაბები გა- ყარეს კიდევ ტაძრიდან, მაგრამ 6 საათიანი უშუდეგო ლოდინის შემდეგ კვლავ შეუშვეს ტაძარში და, ცეცხლი მაშინდა გადმოვიდა. ეს არაბები ფოტინეს შთამომავლები არიან – იმ სამართლიანი დედაკაცისა, რომლის შესახებაც სახარებაც მოგვითხრობს და რომლის ქალაქში თავად ქრისტემ იქადაგა ჭეშმარიტება.

უფალი ამბობს: ყურები აქვთ და არ ესმით. თვალები აქვთ და ვერ ხედავენ. ქრისტეს მიერ ჩადენილ უამრავ სასწაულს ხედავდნენ, მაგრამ მინც დასცინეს, უარყვეს და ჯვარს აცვეს. მადლს მოკლებული ადამიანის ბუნება ახლაც იფიქვია, რაც ოც- დაერთი საუკუნის წინათ: თუკი არ გინდა, დაინახო და აღიარო, არც დაინახავ და აღიარებ. საკუთარი ამპარტავებით დაბრ- მავებული როცა ვერ ხედავ მხეს, ეს არ ნიშნავს, რომ ის არ ამოდის და არ ანათებს. საცოდავი ის კი არაა, ვისაც მზის ამოსვლისა სწამს და უხარია, არამედ ის, ვინც მისი ნათლისა და სითბოს გარეშე რჩება.

სხვა რა უნდა იყოს ეს, თუ არა ღვთის რისხვა? აღბათ იკითხავთ, თუ რატომ „ეტყებიან“ სომხები ამ წმინდა ადგილს, თუ მისი არ- სებობისა ეკლესიურად არა სწამთ?

მხოლოდ იმიტომ, რომ წმინდა ცეცხლის გაყიდვით საკმაოდ სოლიდური ფულადი მოგების მიღება შეიძლება!

სომხური თვალთმაქცობის კიდევ ერთი დასტური გახლავთ ის, რომ, როგორც კი მიიღებენ წმინდა ცეცხლს მართლმადიდე- ბელი პატრიარქისაგან, კისრისტებით მობიან ტაძრის გაღვანხვ, რათა ქვემოთ მდგარ მორწმუნეებს დაანახონ წმინდა ცეცხლი და „დაარწმუნონ“, რომ ეს სასწაულმო- ქმედი ცეცხლი სწორედ მათ მიიღეს პირველებმა უფლისაგან. და ჯერ კიდევ არ არის ზენიტში ასული ტაძარში მყოფ მორწმუნეთა ზეიმი წმინდა ცეცხლის გარ- დამოსვლასთან დაკავშირებით, რომ სომეხი ტერტერები ხმამაღლა იწყებენ ლოცვას და ცდილობენ გადაფარონ მოხეიმეთა მიერ „ოსანა“-ს საგალობელი, რაც იქ მყოფი ადამიანების სამართლიან გულისწყობის იწვევა!

ვერავფერს იტყვას, მართლაც რომ „სან- იმუშო“ ეკლესია და სამოქალაქო საზო- ვადოება გააჩნიათ სომხებს, ოღონდ იმის ნიშნად, თუ როგორი არ უნდა იყვნენ ადამიანები და მათი სულიერი მოძღვრები. ან კი, როგორ შეიძლება სერიოზულად ისაუბროთ იმ ერისა და მისი ეკლესიის რე- ლიგიურობასა და ქრისტიანულ მრწამსზე, რომლებიც ყოველ დღესა და წამს უხეშად არღვევენ ქრისტიანული რელიგიური მოძღვრების ათივე მცნებას, განსაკუთრებით კი, მუხულებს: „არა კაც-ჰკლა“, „არა იპარო“, „არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამები- თა ცრუითა“ და „...არა გული გითქმოდეს სახლისა მოყვასისა შენისა...“.

ღრმად თუ ჩავწვდებით საქმის არსს, გამოდის, რომ მუსულმანური სარწმუნოება ბევრად უფრო ახლოს დგას ქრისტიან- ულთან, ვიდრე მონოფიზიტურ-გრიგორიან- ულ-სომხური.

მაგალითად, ყურანი აღიარებს სამ სრულქმნილ ქალს: მუჰამედის დედას, მუჰამედის დას და მარიამ ღვთისმშობელს, თვით იესო ქრისტე კი ყურანის რამდენიმე სურაში მოწმობითაა მოხსენიებული ისა წინასწარმეტყველად.

აი, როგორი მკრეხელები ისაკუთრებენ ქართველთა ადგილს ქრისტეს საფლავ- თან!

ნუთუ ამის თაობაზე არაფერი იციან იმ ბერძენმა მღვდელმსახურებმა, რომლებიც ცდილობენ ყოველივე ქართული ამოფიქონ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკე- ბიდან, რომელთაც ვანდალურად გაანადგურეს შოთა რუსთაველის გამოსახ- ულება?

იციან, ძალიან კარგად იციან, მაგრამ ისიც იციან, რომ იერუსალიმის რელიგიურ წიაღში საქართველოს როლის აღიარება მათ იქ ყოფნას ელვარებას დაუკარგავს და ამიტომაც ურჩევნიათ (საბანის კარნახ- ით), რომ ყოველივე ქართულს ხაზი გადაუს- ვან და სომხებთან ერთად აკეთონ ბინძური ფული იერუსალიმის წმინდა მიწაზე.

ნუთუ ამის თაობაზე არაფერი იციან ისრაელის სახელმწიფოს მმართველებმა, ნუთუ არაფერი სმენიათ იმის თაობაზე, რომ ქართულ მართლმადიდებლობას და ქართულ სახელმწიფოებრიობას ქართველების მხარდამხარ ხმლით იცავდ- ნენ სურამში 26 საუკუნის წინ ჩასახლე- ბული ებრაელები?

თუ არ იციან, ვაღებელი ვართ გაე- აგებინოთ, რათა პოლიციის ძალებით გარეკონ იერუსალიმის წმინდა ადღ- ილებიდან ღვთისმშობელი მონოფიზიტი სომხები და დააბრუნონ ის ქართველები, რომელთაც ისტორიულად არნახული მსხვერპლი გაიღეს ეთნიკური და რე- ლიგიური მრწამის შესანარჩუნებლად.

ამის დასტურად მხოლოდ ის გამოდგება, რომ მსოფლიოში ერთადერთ ქართველ ერს ჰყავს 100.000 წმინდანი წამებული, რომელთაც თავი დასდეს ქართველობისა და ქრისტიანობისათვის.

ამიტომ არის აუცილებელი, რომ ახლავე დავიკვიდროთ ჩვენი ადგილი იერუსალი- მში, თუნდაც იმ ეკლესია-მონასტრების გამოსყიდვით, რომელიც ჩვენი ღირსეული წინაპრების მიერაა აგებული.

ამისათვის კი საჭიროა ერთ მუშტად შეიკრას საქართველო, შეგროვდეს სუ- ცილებელი თანხები ყური გამოიბერტყონ ქართველმა მილიარდებმა და მილ- იონერებმა, მთავრობამ კიდევ უფრო სე- მოიტიროს ქამრები, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა თავი გაანებოს ბატკნის მწ- ვადების შეკვთას, თბილისის მერი შეეშვას მილიონი ხის დარგვის უტოპიურ იდეას (ამას იერუსალიმის ქართული სიწმინდე- ბის დაბრუნებით წახალისებული ქართველი ერი უფრო გააკეთებს) და ერ- თობლივად შევაგროვოთ საჭირო თანხა. საქართველოს ჩინოფიკთა ბანდამ რომ მხოლოდ 2014 წელს ჩაიჯობა პრემიების თანხა 170 მილიონი ლარის ოდენობით, მართლა რომ “შემოვკირათ ქამრები” ამ ერთი მიწისპატრონი ან ეკლესიის შექენა გახდებოდა შესაძლებელი?!

ასე რომ, ვიდრე საკუთარი სტომაქის გაქსუების სურვილი სახელმწიფო იონ- ტერესებზე წინ იქნება დაყენებული, ჩვენი საშველი არა და არ იქნება!

რა თქმა უნდა, ივანიშვილისათვის მად- ლობის მეტი რა გვეთქმის ხელთუქმნელი და ლამის თვალაუწყვენელი სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, რომ თუნდაც მცირე თანხა გაეღო იერუსალიმის ქართულ სიწმინდეთა გამოსყიდვისათვის?

ვიცი, რომ ბერძენები ყოველი საძრახისი გზით ეწინააღმდეგებიან ქართველებს, რათა არ გამოვიყიდოთ იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, მაგრამ აქ უმაღლესმა ხელისუ- ფლებამაც უნდა გამოიღოს ხელი და დააბოძონ ბერძენებს თავიანთი არც თუ წმინდა განაზრახი!

აი, რა უნდა გახდეს ახლა ქართველი ერის ძირითადი საზრუნავი!

სტუმრების მიღებისათვის გაღებულ ხარჯებზე არაფერს ვამბობ, მაგრამ სტუ- მარი მალე წავა და მისი წასვლის შემდეგ რა დაგვრჩება, ამაზეც ხომ უნდა ვფიქროთ?

როლანდ ჯალაღანიანი  
ჟურნალისტი  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

კვლავ კოლხური კულტურის შემოქმედი ეთნოსის ენის შესახებ

(რა ენაზე მეტყველებდნენ მეფე აიბტი და მედეა?)

უნდა აღინიშნოს, რომ ლობოს კულტურა სამეგრელოში ფართოდ გამოიყენება საჭმლის მოსამზადებლად. პარკოსნებს შორის ყველაზე გემრიელი საჭმელი სწორედ ლობოსგან მზადდება. სამეგრელოში გავრცელებულია სიმინდში ლობოს შეთესვის წესი. ამასთანავე, მოჰყავთ როგორც სანაწვერლო კულტურა, ფარცელისა და ნედლი პარკის მისაღებად. მიკრობენ, რომ ლობოს XVI ს-ის მეორე ნახევრიდან უნდა შემოსულიყო სამეგრელოსა და, საერთოდ, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში. აქედან კი აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულა. სელის, როგორც ერთ-ერთი უძველესი სასოფლო-სამეურნეო მცენარის, სამეგრელოში ფართო გავრცელებაზე მეტყველებს ტოპონიმიური მასალაც. სელისგან, როგორც სართავი კულტურისაგან, ორი სახის ნედლეული – სართავი ბოჭკო და სელი მიიღება. უხეში ბოჭკოსგან იქსოვებოდა ტომრები, მზადდებოდა თოკები, სათევზაო და მიმინოს დანაჭერი ბადები. დიდი სიმტკიცე და გამძლეობა ახასიათებდა კანაფსაც, რის გამოც მას ფართო გამოყენება ჰქონდა სამეგრელოს სოფლის მეურნეობაში. კანაფი საუკეთესო საშუალება იყო ტომრების, ბადების, თოკების, ღვედებისა და მისთანათა დასამზადებლად.

მეგრული მეურნეობი ფლობდნენ ბაღბოსტნის გაშენება-მოვლის ხელოვნებასაც. ეს საკითხიც წიგნის პირველ თავში ცალკე პარაგრაფად არის შესული. ბაღნეული კულტურებიდან სამეგრელოში ფართო გავრცელებას პოულობს ერთწლიანი მცენარეები: ნახამთრო (მეგრ. ხაბურხაი) და ნეხვი (მეგრ. შინკა). შედარებით ახალი კულტურაა გოგრა (მეგრ. კეშის/კოპეშია). საკვები ელემენტებით მდიდარ ნიადაგებზე ეს ბაღნეული კულტურები დიდ მოსავალს იძლევა. ასეთი ნიადაგებია ძირითადად ახლად გატეხილი ყაბრები, ახი, აგრეთვე მდინარისპირა ჭალები. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით მოსავლის სიმრავლისთვის ხდებოდა ნიადაგის განოყიერება წურწუფით, ვიჟათი (იქვე: 44). ბოსტანში ითესებოდა აგრეთვე ხაჯი (ვერცხვი), სოტელია (წითელი ფხალი), ზაფანა (პილპილი), მაკინდოლი (ობრახუში), კინტირი (კიტრი), პამინდორი (პომიდორი)...

მეორე თავის 2. 1. 9 პარაგრაფში („ხეხილი“) დ. შვიანიძე აღნიშნავს, რომ სამეგრელოში ვაზის ჯიშების მრავალრიცხოვნებაზე მიკროტოპონიმიაც მიგვანიშნებს. გ. ელიაშვილს ავტორობით 1977 წელს გამოცემული წიგნიდან („აბაშისა და გეგეჭორის რაიონების ტოპონიმიკა“) დამოწმებულ ტოპონიმებს შორის ავტორი საილუსტრაციოდ ასახელებს ოიაგანეს „საქვევროს“ (ადგ. სოფ. თამაკონში), მაგრამ ეს სწორი არ არის: ტოპონიმი „ოიაგანე“ მიუთითებს ქვევრის დასამზადებლად ვარგისი ნიადაგის გავრცელებას არაქვე კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში, სოფ. თამაკონში, და მას არავითარი კავშირი არა აქვს ვაზის ჯიშთან (იქვე: 47).

ნაშრომში სათანადო ყურადღება ეთმობა თხილის კულტურას, რაც თანამედროვე სამეგრელოში შემოსულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა მეგრული მეურნისათვის. ახუთელ გურამ უბრიასგან ნაწერილი მასალის მიხედვით თხილი ირგებოდა იანვარ-თებერვალში, 25 სმ სიღრმის მქონე ორბოებში. ორბოების მანძილი 5 მ უნდა იყოს, ხოლო ბოჭკებს შორის დაშორება – 2 მ. ერთ ადგილზე უნდა დაირგოს ორი, მაქსიმუმ ოთხი ღერი. აპრილ-მაისში, ნაწვიმარზე, საჭიროა 100-200 გრამი სასუქის შეტანა შემობრუნებ მიწაზე. დასახელებულია თხილის ჯიშებიც: სკვერი თხირი (თიკინიყურა), ბახვა თხირი, დამსკი (დგლოფლის თითები), ტყის თხირი, გვაგვა თხირი, ბერძნული და ხოჯთხირი „ხარისთვალი თხილი“ (იქვე: 46).

საინტერესოა ავტორის მსჯელობა მწარმოებლური და არამწარმოებლური მეურნეობის ტრადიციულ დარგებზე (მესაქონლეობა, მეღორეობა), აგრეთვე საქონლის მრავლობა-შენარჩუნებასა და დაკავდებთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებზე. სარეცენზო ნაშრომში აღნიშნულია, რომ მეგრების სამეურნეო ყოფაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ცხენს, როგორც ტვირთგადასაზიდ, სამგზავრო და გამწვევ საშუალებას. ცხენს იყენებდნენ სპორტულ სანახაობებში. დამოწმებულია ცხენის გახედნასთან და დადავასთან, ცხენის გამრავლებასთან დაკავშირებული

ეთნოლოგიური მასალა. გადმოცემებში შემონახულია ცხენოსნობით, ანუ ვაჟკაცობით განთქმულ მხედართა სახელებიც (დიმიტრი, ბანუკა, ჯემალ და ომეს ჩიქაუები, შოთა დგებუაძე, სილოვან, ბაგრატი და ადამურ ნარმანიები, ჯეირან ხუბუა...).

სამეგრელოს ეთნოგრაფიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველები და სპეციალისტები წიგნში მრავალ საინტერესო ინფორმაციას წააწყდებიან მეფურტურების, მონადირეობის, მეთევზეობის, მეაბრეშუმეობის, საოჯახო მეურნეველობის საკითხებზე, აგრეთვე სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებსა და ტრადიციულ წეს-ჩვეულებებზე. აქ მოკლედ შევეხებით მეაბრეშუმეობის საკითხებს, რამდენადაც იგი ჩვენი ქვეყნის ეროვნული მეურნეობის უძველესი და მეტად მნიშვნელოვანი დარგი იყო.

მეაბრეშუმეობის განვითარებას საქართველოში კარგი ბუნებრივი პირობები და ხელსაყრელი გეოგრაფიული გარემო ჰქონდა. ამასთანავე, აქ გადიოდა მსხვილი საქარაენო გზები. გზებს შორის უპირველესი – აბრეშუმის დიდი გზა საქართველოზეც გადიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ახალი სანაოსნო გზები იქნა აღმოჩენილი, აბრეშუმის დიდი გზამ ფუნქციონირება შეწყვიტა. 1900 წლის მონაცემებით სამეგრელოს სასაქონლო პროდუქციაში მეაბრეშუმეობის ხვედრითი წილი შეადგენდა სენაკის მაზრაში 71, 4 %-ს, ხოლო ზუგდიდის მაზრაში – 58, 7 %-ს. სპეციალისტთა აზრით, „საქართველოში მეაბრეშუმეობა ყოველთვის განიხილებოდა როგორც ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცების, სოფლად შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, სავალუტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო და მუდმივი საგანი... მაღალხარისხოვანი ქართული აბრეშუმი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მსოფლიო ბაზარზე. მრავალი საუკუნის მანძილზე მეაბრეშუმეობა საქართველოში მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად მოსაქმეობას წარმოადგენდა“ (გონა ნიკოლეიშვილი, გიორგი ნიკოლეიშვილი, მეაბრეშუმეობის ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი პოტენციალის გამოყენების სრულყოფის გზები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. თბ., 2005: 24). სამწუხაროდ, თუთის ნარგავობის განადგურებამ საქართველოში დღეს უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა, ვიდრე მას საუკუნეთა მძლავრმა ადგილი. თუმცა, წარსულისგან განსხვავებით დღეს ეს შინაურის ხელით კეთდება, რაც ბარბაროსთა ქმედებაზე უარესია (იქვე: 25).

საქართველოში მეფურტურების უხსოვარი დროიდან გავრცელებულ მკვლე ბერძნული წყაროები მოგვითხრობს. ბერძენი ისტორიკოსი – ქსენოფონტის ცნობით, საქართველოში ფურტურის ოჯახები უჩვეულოდ ბევრი ყოფილა. ტრაპიზონის მახლობლად, კოლხთა ერთ-ერთ სოფელში, 10.000 ბერძენი მეომარი მათობედა თავფს მოწამლავს. პომპეუსი გვაუწყებს, რომ მათობედა თავფლით გაბრუებული მტერი კოლხებს დაუმარცხებიათ კიდევ. ფურტურის გავრცელებაზე მოგვითხრობს აგრეთვე XVIII საუკუნეში მოღვაწე დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი. სარეცენზო წიგნის მეორე თავში ცალკე პარაგრაფად წარმოდგენილია სამეგრელოში მეურნეობის ფართოდ გავრცელებულ დარგთა შორის გამოჩენილი მეფურტურების საკითხები, ფურტურის მოვლასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალა და ხალხური რწმენა-წარმოდგენები (იქვე: 62-67).

მესამე თავში განხილულია ხელოვნობა-მინამორწმუნეობის (მეჭურჭლეობა, ფეიქრობა, მჭედლობა, ჭის თხრა, წისქვილის აწყობა-მუშაობა, წნული ღობის გაკეთება, ტრანსპორტის ხალხური სახეობანი) საკითხები.

მეოთხე თავში მეკლეგარი ანალიზებს დასახელების ტიპებთან, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებთან დაკავშირებულ ეთნოგრაფიულ მასალას. საცხოვრებელ ნაგებობებზე მსჯელობისას დ. შვიანიძე იმოწმებს ეთნოგრაფიულ წინაწერებს ანტიმონილი ქართული მცენარის, პროფ. სერგი მაკალათიას წიგნიდან – „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“ და დასძენს, რომ „ფაცხაზე ჯარგავლზე, გოდორა ანუ ჰიტავიცარა სახლზე მეტი ეთნოგრაფიული მასალა თითქმის აღარ მოიპოვება“ (იქვე: 105). საინტერესოა სამეგრელოში ბოძებზე დადგმული საცხოვრებელი სახლის ტიპის – ოდა სახლის

სახელწოდება მეკლეგარის მიერ სადღარის დამოწმების ფაქტი.

საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებზე, დგამ-ავეჯსა და ჭურჭელზე მსჯელობისას სასურველი იყო დ. შვიანიძეს გაეთვალისწინებინა გ. ელიაშვილის ორი ნაშრომი – „მხარეთმცოდნეობის თვალში“, სადაც ერთ-ერთი თავი მეგრული კარ-მიდამოს (მახორობას) აღწერას ეძღვნება, და 1989 წელს გამოცემული „ეთნოგრაფიული სამეგრელო. ალბომი“.

გასახიარებელია ავტორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ახალმა ყოფამ გამოიწვია წინაპართა მიერ გამოყენებული საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ავეჯის შეცვლა. მათი ფორმისა და ფუნქციის აღდგენა გაძნელებულია შემორჩენილი ნივთიერი მასალის ფრაგმენტულობის გამო. მართალია, „ტრადიციული ურთიერთობების, საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა-ნაგებობების და სხვათა შესახებ ინფორმაცია ძველი ყოფის მომწივრე მისრობელებთან ფიქსირდება“ (იქვე: 111), მაგრამ საკვლევი საკითხებზე წიგნის ავტორი უხე და მრავალფეროვან ეთნოლოგიურ მასალას წააწყდებოდა სამეცნიერო-საღე-ქსიკონო მასალაშიც. ასე, მაგალითად, ალიო ქობალას „მეგრული ლექსიკონი“ (თბ., 2010) ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი წყაროა. თუმცა, სამწუხაროდ, წიგნისათვის დართული გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ჩამონათვალი გ. ელიაშვილს უხე მოთხოვნილია, ასევე ცალკეული ეთნოგრაფიული შრომები და ა. ქობალას ხსენებული ლექსიკონი მითითებული არ არის.

წიგნის მეხუთე-მეექვსე თავებში განხილულია საოჯახო ყოფასა და ჩაცმულობასთან დაკავშირებული საკითხები. მეშვიდე თავში მოცემულია საკუთარი სახელების, მკვიდრ და მოსულ გვართა საღაურობა-წარმომავლობის, გვართა შორის ქორწინების აკრძალვა-დაშვების, საგვარეულო საღოცავებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებული მდიდარი ეთნოსტორიული მასალა. დასახელებულია სამეგრელოში გავრცელებული, ადამიანთა ზოგიერთი სახელი და მეტსახელი.

მეჩვიე თავში – „რელიგიური დღესასწაულები და რწმენა-წარმოდგენები“, მეკლეგარი შენიშნავს, რომ სამეგრელოში უხეად არსებობს ლეგენდა-გადმოცემები მნათობთა და ხე-მცენარეთა თავყანისცემაზე, მნათობ-ღვთაებათა შეიღვეულზე, აფსულებზე, რელიგიური ხასიათის თქმულებები ქრისტიან წმიდა მოწამეთა – წმ. გიორგისა და წმ. ელიას ყოვლისშემძლეობაზე (იქვე: 130-134). „სამეგრელოში, – წერს დ. შვიანიძე, – ხე-მცენარეთა თავყანისცემის დამამტკიცებელია ჭყინდლი – დიდი მუხა, მუხის მსახურების სალოცავი ადგილი. აღნიშნული ფაქტი უთუოდ „ხეთა მსახურების“ დასტურია“ (იქვე: 135). ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ავტორის მსჯელობა ემყარება აკად. ივანე ჯავახიშვილის წიგნში „ქართველი ერის ისტორია“, ტომი პირველი წარმოდგენილ ეთნოგრაფიულ მასალას.

ავტორის ცნობით, წაღწევის რაიონის სოფლებში აღნიშნულია დღესასწაულები, რასაც მსხვერპლ შეწირვაც ახლდა. მათ შორის ასახელებს სანწკელოს და წერს, რომ ნწკელ-ღვთაებასთან დაკავშირებით მასალა მოპოვებული არ არის, მაგრამ ირკვევა, რომ სანწკელოს იხილდნენ შემოდგომაცხე. მარანში ჩამარტული ამ სალოცავი ქვევრის თავზე „დინობის“ წვერები დაინოქებდნენ, ხოლო უხეცესი შემდეგი სიტყვებით დაილოცებოდა: „მარდიან დორონი, ნწკელ, სქანი ტიბინი სი ქომუნი მა, ჩქიმ მითას დო გიმნაჭყანს“ (მადლიანო ღმერთო, ნწკელ, მომეცი შენი წყალობა მე, ჩემს შვილებს, შვილიშვილებს და ნაგრამს) (იქვე: 138).

საკითხის კვლევის თვალსაზრისით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ისტორიული სამურზაყანოს ტერიტორიაზე გალის რაიონის სოფელ ხოლეთში, მდინარე ერისწყლის მარცხენა მხარეს მდებარე მადლობს წკელკარს ეძახიან. იგი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლით, კერძოდ, X საუკუნით დათარიღებული დარბაზული ტიპის ეკლესიით. ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი ნუსხური წარწერები შეისწავლეს თ. ბარნაველმა და დ. შერვაშიძემ. ენათმეცნიერ პაატა ცხადაიას აზრით, „წკელკარის“ გეომატიკული, ლექსიკური და ეტიმოლოგიური (მოტივირების თვალსაზრისით) გააზრება იძლევა იმის შესა-

ძლებლობას, რომ ეს სახელწოდება მეგრულ ტოპონიმიკურ სისტემას მივაკუთვნოთ. მეკლეგარი იმოწმებს სამურზაყანოელთა განმარტებას იმის შესახებ, რომ წკელის, იგივე მანცხვარწკელის თუ მიქელ-გაბრიელის ხატი ესვენა ერისწყლის მარცხენა მხარეს, მადლობზე მდგარი წყავის ხისძირას. ხესთან სალოცავად მისული ავადმყოფები ღმერთს განკურნებას შესთხოვენ (პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმიკა, თბ., 2004: 30). სამურზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონში ტოპონიმ „წკელკარის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას პ. ცხადაია და გ. ჯოჯუა შენიშნავენ, რომ სახელწოდება მიღებულია ხატის ან ადგილის სახელზე არსებითი სახელის – კარის დართვით. მათ ტოპონიმი წკელკარი გაიაზრეს, როგორც „წკელის სამყოფი ადგილის წინ ან ირგვლივ მდებარე ტერიტორია“ (პ. ცხადაია, გ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003: 208).

ჩვენ მეორე ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით ეკლესიის სახელწოდება უკავშირდება ოდესღაც ამ ადგილას სალოცავ ხედ მინეული წყავის არსებობას. წკელი, წყი(ი), წყოუ მეგრულში აღნიშნავს წყავს. წყივე უშექიცი იგივეა, რაც წყავი. მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია წკელი სიტყვის მნიშვნელობა სამურზაყანოს მეგრულში. ესაა „მეოხი; ხელის შემწეობი“. ა. ქობალას „მეგრულ ლექსიკონში“ მანცხვარ-წკელი უფლის ემოთგადაა მიჩნეული და განმარტებულია, როგორც „მეოხ-მაცხოვარი“, ხოლო წკელ-მანცხვარი, როგორც „მეოხი და მაცხოვრებელი“ (ა. ქობალა, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010: 389, 698).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წკელი კარის ეკლესიის სახელია, სასვებით ლოგიკურად გვეჩვენება ხატის სახელწოდებად მისი გააზრება. მაშასადამე, წკელკარი, ჩვენი აზრით, „მეოხისკარია“, სადაც წკელი წმინდანის (ან წმინდანთა) ეპითეტია, ისევე, როგორც სანგარამი „ლახვროსანი“, ჯგუფ ჯგუფე „წმინდა, წმინდანი“, და ზოგადად, შესაძლებელია, მიემართებოდა მაცხოვარს, ან წმიდა გიორგის. წკელკარი უნდა დარქმეოდა იმ ადგილს, სადაც ადამიანთა შემწე რომელით წმინდანის ხატი იყო დასვენებული (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ი. კეკელია, „წკელკარის“ ეტიმოლოგიისთვის. კრ. „ისტორიული-ეთნოლოგიური ძიებანი“, XVI, 2014: 238-242).

დავით შვიანიძის მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალის გაანალიზებით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ენგურ-კოდორის შუამდინარეთის აფხაზთაგან რბევა-აოხრების შემდეგ, XVII-XVIII სს-ში წკელკარის ხატი სიყვანს გამოარდეს და მდ. ენგურის მარცხენა მხარეს, თანამედროვე წაღწევის რაიონის ტერიტორიაზე მიუჩინეს ბინა, სადაც სანწკელო „ხვამაც“ გააგრძელეს კიდევ. მეგრე თავში ცალკე პარაგრაფად წარმოდგენილია „ქრისტიანული, სინკრეტული დღესასწაულები, წეს-ჩვეულებები“. დამოწმებულია ბარბაროზა-ბარბალობის, შობა-ახალი წლის, დიდი ოხვამერის, ნათლისღების, თედორობის, ელიაობის, თანაფას „აღდგომის“ რიტუალების ამსახველი ახალი ეთნოლოგიური მასალა. ავტორი აღდგომის შესატყვისად მიუთითებს „თანაფას“, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, რომ შობას სამეგრელოში ქი(რ)სეს, ახალ წელს – კალანდას, ნათლისღებას – წაქურთხიას, თედორობას – თედობას/თორდობას, ელიაობას – ეიობას რომ ეძახიან...

სამწიგნობრო ქართულსა და მეგრულში კვირის დღეთა სახელებს შორის დ. შვიანიძე „შაბათის“ მეგრულ შესატყვისად ასახელებს საბატონი ფორმას. სასურველი იყო შაბათის შესატყვისი პარალელურ ფორმად ბერძნულიდან ნასესხებ საბატონი (ბერძნ. „საბატონ“, ძვ. ებრ. „შაბატ“, ლათ. „საბატუმ“, გერმ. „საბატ-შაბტეს“, რუს. „სუბოტა“) ფორმასთან ერთად ავტორს მივითებინა შურიშხა/შურიშ დღა, რაც „სულის დღეს, მიცვალებულთა სულის ხსენების დღეს“ ნიშნავს. მეგრული წარმართული შეიღწეული სისტემის ამ ერთი წერის შესახებ მსჯელობა მოცემულია გ. ელიაშვილს რამდენიმე პუბლიკაციაში (გ. ელიაშვილი, 1989: 76, 120, და იქვე მითითებული ლიტ-რა).

ილორო კეკელია, ისტორიის დოქტორი (დასასრული შემდეგ ნომერში)





# ლელა კაკულია, მიხეილ ცაბარელი, თამაზ ჭეიჭვილი, გამხდარი მიგრელი ყმაფვილი, სხვანი და სხვანი...

სათაურში ჩამოთვლილ პიროვნებათა შორის ჩემი დიდი ხნის მეგობარიც (ახლა, როცა ნათელმხილველი და ექსტრასენსი გახდა, არ ვიცი, რა აზრისაა ჩვენს მეგობრობაზე, მაგრამ ადრე ნამდვილად მეგობრობდა ჩემთან) ურევია, მაგრამ, არისტოტელის არ იყო – პლატონზე რომ თქვა: **“პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია ჩემთვის!”**

პროგრესულად მოაზროვნე (ე.წ. ლიბერალური) არა მყავს მხედველობაში – ავტორი ხანდახმული პიროვნებებისაგან გამიგონია – ადამიანებს უცნაური თვისება სჭირთ. როცა რაიმე პრობლემას შერჩებიან პირისპირ, ნაცვლად იმისა, რომ გამოსავალი ეძებონ, მკითხავენთან გარბიან და უკანასკნელ კაპიკებს მათ აბარებენ ხოლმე. გასაგებია, რომ ფსიქოლოგიური მუხტი, რომელსაც მკითხავი განიჭებს, შეიძლება წინააღმდეგობის გადალახვის მძლავრ სტიმულად იქცეს, მაგრამ ისიც უნდა იცოდეთ, რომ მკითხავი რეალურად კი არ განჭვრიტავს შენს წინაშე წამოჭრილ სიძნელეებს, არამედ ცდილობს შენვე გათქმევის შენს პრობლემის არსი და, აქედან გამომდინარე, გითხრას წამახალისებელი სიტყვები, რაც ბუნებრივ მომავლის იმედს გაგიძლიერებთ, მოსალოდნელი წარმატების სულს ჩაგებრავთ, მაგრამ დიდად ვერ დაგეხმარებათ სამომავლო პრობლემური ამოცანების გადაჭრაში.

მოკლედ რომ ვთქვათ, მკითხავი, უბრალოდ, იმედისმოძველი სიტყვებით გატყუებთ და ცდილობს რაც შეიძლება მეტი უფული დაგცინცლოთ!

თუ ჩემი არ გჯერათ, თავად გააჩერეთ ქუჩაში **“არიფებზე”** მონადირე ბოშა მკითხავი და წამსვე დარწმუნდებით ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში.

**მკითხავისა და წინასწარმეტყველის ინსტიტუტი** რომ არახალია (იგი შეიძლება პროფესიების ისტორიაში №3 პროფესიად ჩავთვალოთ. ნომერი პირველია – პროსტიტუცია, ნომერი მეორეა – ჟურნალისტიკა, თუმცა დღევანდელი ჟურნალისტების გადაკვირვებულ ვეარაულობა რომ პირველი და მეორე პროფესიები ხშირად ასოცირდებიან ერთმანეთთან – **პროსტიტუტია**), ამაში დიდი იტალიელი პოეტის პეტრარკას მიერ მე-14 საუკუნეში ნათქვამი სიტყვებიც გვარწმუნებენ: **“ეს მარჩიელები საკვირველი ადამიანებია, რომლებმაც იციან მომავალი, მაგრამ არ იციან წარსული და აწმყო; ისინი ისე განმარტავენ რა ხდება ცაზე, თითქოს ესწრებოდნენ ზეცის საბჭოს სხდომას და ესლანს დაბრუნდნენ ნათელი მესიერებით; ამავე დროს არ იციან რა ხდება დედამიწაზე, სამშობლოში, სახლში, ოთახში: მე ეს მატყუარები სრულებით არ მაკვირვებენ იმიტომ, რომ ისინი იკვებებიან თავიანთი ხელობით, მაგრამ მე გაოცებული ვარ, როგორ შეგიძლიათ თქვენ, თქვენი სული და ჭკუა დაუმორჩილოთ მათ კუჭს”**.

გენიალური დასკვნაა, უფრო ლაკონურად რომ ვერ იტყვი – ისეთი.

მაგალითად, მიხეილ ცაბარელს რომ ვუსმენ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ღმერთს იგი კალთაში უხის და მხოლოდ მას უთანხმებს, თუ რომელი პლანეტა რომელიც მუხობლის ორბიტაში უნდა შევიდეს, რომელი დღეა უკეთესი საფინანსო გარემოებისათვის, როდის უნდა წახვიდეთ აბანოში, როდის უნდა მოეფეროთ მეუღლეს თუ მეგობარ ქალს (უბრალო

მოკვდავთა ენაზე **“საყვარელს”** რომ უწოდებენ) როდის არ უნდა გაუწეროთ საკუთარ ძაღლს და ა.შ.

მოკლედ, დამაჯერებელი რჩევების მთელი ბუკეტია – ჩვენ კი პირდაპირნილები მიგნებებივართ ტელეეკრანს და წრფელი გულით გვჯერა ამ ვაი-ეხო-თერიკის ნაბოღვარისა.

მაგრამ გასაკვირი არაფერია, რადგან ცაბარელი თავისი ხელობით იკვებება, ჩვენ კი, პეტრარკასი არ იყოს, სულსა და ჭკუას ვუმორჩილებთ მის კუჭს.

ახლა ლელა კაკულიას არ იკითხავთ? სულ ზეპირად იცის რომელი პოლიტიკოსი როდის გაიმარჯვებს და რომელი როდის ჩაისვრის, როდის მოპარავენ მანქანას და როდის დაიბრუნებს, როდის რა მოხდება, მაგრამ, თუ ასეთი ნათელმხილველი არის ეს დალოცვილი, იქნებ მდინარე ვერეზე მომხდარი ტრაგედია განეჭვრიტა წინასწარ და საშინელი მსხვერპლი და მატერიალური ზარალი აერიდებინა წყაღატაცებულებისათვის.

ჯერ ადრეა, – რამდენიმე თვის შემდეგ დიმიტროპალეული გამოგვეცხადება ტელევიზორის ეკრანიდან და დამაჯერებელი ტონით გვეტყვის – ყველაფერი მოსახდენის თაობაზე ღმერთმა რამდენიმე დღით ადრე მომცა ნიშანი, მაგრამ ენა დამიბა და ამიტომაც ვერ გავაფრთხილე ხალხი წინასწარ.

წადი ახლა და უჩივლე – სასამართლოზე ვერაფერს გააწყო, რადგან გეტყვიან, შენ თავად იტყუებ თავს ჩვენგან რა გინდაო.

ისევ ღმერთთან თუ უჩივლებ – შენი სახელით ვატყუებო...

რაც შეეხება სათაურში ნახსენებ გამხ-

დარ მეგრელ ყმაწვილს (თუ არ ვცდები, ლომია იყო გვარად), რომელიც ნათელმხილველობაში არავის **“ჩამოუყარდებოდა”**, მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ სამართალდამცავებს მის წინააღმდეგ თაღლითობის ბრალდებით პქონდათ აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

აქ ნამდვილად მართლდება მესამე რაიხის პროპაგანდის მინისტრის იოზეფ ჰებელსის სიტყვები: **“ტყუილი რაც უფრო თავხედური და დაუჯერებელი იქნება, მას ბრბო უფრო იოლად იჯერებს”** (იგივე ითქმის ქართულ ნაცებზეც!).

მოკლედ, ნათელმხილველები თავიანთ სტიქიაში არიან, ჭკრეტენ ხალხის მომავლს და, ჩვენი რა მოგახსენოთ, მაგრამ თავად ნამდვილად არ უჩივან ბედს, ვიდრე საქართველოში ჯერ კიდევ უხვად არიან გულუბრყვიელები, რომელნიც მათ პირდაპირნილები უსმენენ და მათი სჯერათ!

მავანი იტყვის – ნათელმხილველები რა შუაში არიან, ყველაფერში ტელევიზიები არიან დამნაშავენი, მათ საეთერო დროს რომ უთმობენო.

კარგით, ბატონო! თუმცა განა ფაქტი არ არის, რომ ტელევიზიები ტყავიდან ძვრებიან, რათა დაუჯერებელი სენსაციების ხარჯზე აიმაღლონ რეიტინგი და დაავროვონ რეკლამები. შენ რომ არ აჩვენებ მათ იაფფასიან გადაცემებს და საკადრის პასუხს გასცემ გათაღლითებულ ნათელმხილველებს, ტელევიზიებიც აღარ მიაქცევენ მათ უურადლებას.

დანარჩენზე – მერე!

პრომოკატორი

## გლობალიზაცია საფუძველში სხვა არაფერია თუ ლამაზად შენიღბული იარაღი

**გლობალიზაციის საშუალებითაც განვითარებული ქვეყნები ახდენენ ე. წ. მესამე სამყაროს ქვეყნების ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდებას.**


გლობალიზაციის არწმუნებენ ხალხს დარბი ქვეყნებში, რომ მათი სიღარიბის მიზეზი კორუფცია, მაფია, არასწორი ტრადიციებია და მხოლოდ ღია ბაზარი, თავისუფალი ვაჭრობაა წარმატების და დოვლათის საფუძველი. არადა წარმატებულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა წარმატებას არა გლობალიზაციის რეცეპტით არამედ ეკო-პროტექციონალიზმის თეორიის გამოყენებით მიადწიეს. მათ საკუთარი ბაზარი მაღალი საბაჟო ტარიფების და მრავალი სავაჭრო დარბიერებების შექმნით გააძლიერეს. ისინი წარმატების მისაღწევად ზუსტად იმის საწინააღმდეგო აკეთებდნენ რაც მათ გლობალიზაციის თეორიკოსთა აზრით უნდა გაეკეთებინათ. ხოლო იმათ, ვინც გლობალიზაცია თეზისებით იხელმძღვანელა (თავისუფალი ვაჭრობა, კომუნალური საწარმოების გაყიდვა, კაპიტალის გადაადგილებაზე კონტროლის მოხსნა მეწარმეების პრივილეგიების გაუქმება), ყველამ კატასტროფული შედეგი მიიღო.

**აშშ** 1981 წლიდან გლობალიზაციის დროშით ანხორციელებს მიზანს, რომელიც განვითარებული სამყაროს სუვერენიტეტის ასუსტებს, რის შედეგადაც ძლიერდება მათი დამოკიდებულება ეკონომიურად ძლიერ ქვეყნებზე, რათა არ მოხდეს მათი კონსოლიდაცია და არ წამოაყენონ მდიდარ ქვეყნებთან თანასწორუფლებიანი სავაჭრო პირობები. ამ მიმართულების გამოყენების მთავარი დასაყრდენი, რა თქმა უნდა, მათი შექმნილი მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაა. რა თქმა უნდა, მსოფლიო ბანკიც და საერთაშორისო სავალუტო ფონდიც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის კონტროლირდება. ორივეს რეზიდენცია მდებარეობს ვაშინგტონში. ორივე ისეთ სისტემაზეა აწყობილი. რომ სახელმწიფო დეპარტამენტის თანხმობის გარეშე არცერთ გადაწყვეტილებას არ იღებენ. ორივე ამ ორგანიზაციას მინიჭებული აქვს მესამე მსოფლიოს ქვეყნებთან ფინანსური პირობდებების, ძირითადად ვალდების უზრუნველყოფა, საბოლოო მითითებით, რომ ეს ქვეყნები ისე უნდა ჩაეფლონ ვალდებში, რომ ქვეყნების ძირითადი შემოსავალი ვალდების მომსახურებას მოხმარდეს, და თან ისე, რომ თვითონ კუ-

თილისმსურველებად დარჩნენ. რისი შედეგადაც განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა (100-მდე ქვეყანა) მოქცეულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ეკონომიურ კლანჭებში და საქართველოც ამ მხრივ არ არის გამონაკლისი. ეს ქვეყნები თავიანთი ვალდების მომსახურებისთვის ახალ კრედიტებს იმ შემთხვევაში იღებენ, თუ შეასრულებენ მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს, რომელიც ულტიმატუმებს უფრო ჰგავს, სადაც ითხოვენ, რომ მოხდეს ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ამას ემატება მოთხოვნა ხარჯების შემცირებაზე ისეთ სახელმწიფო პროგრამებზე როგორცაა ჯანდაცვა, განათლება, სპორტი, სოციალური სფერო, რათა გამოთავისუფლებული ხარჯები უცხოური ბანკების ვალდების მომსახურებას მოხმარდეს. შემდეგ ითხოვენ სოფლის მეურნეობის სუბსიდირების შეწყვეტას, რათა შემდგომ მოხდეს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოებული, ახალი ტექნოლოგიებით, ქიმიკატებით გაჯერებული, გენმოდულიციური და ამით გაიაფებული სასოფლო სამეურნეო პროდუქტის გასაღება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ასევე ითხოვს გაუქმდეს კაპიტალზე კონტროლი მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა უცხოელ ინვესტორებს ძირითადად განვითარებული ქვეყნებიდან უფლება მიეცეს შეისყიდონ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები და სტრატეგიული ობიექტები (ყველაფერი ეს უკვე საქართველოში უცხოელთა ხელშია). მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც შემდეგი მოთხოვნაა რომელიც მსოფლიო ბანკიდან კრედიტის აღების სანაცვლოდ საკუთარი ვალდების კონვერტირება უნდა უზრუნველყოს რომლის მეშვეობით იძულებულია გაცვლითი კურსის მიუხედავად საკუთარი ვალდება უცხოურ საანგარიშსწორებო საშუალებებზე გაყიდოს, რაც მისი მომავალი ღირებულება სასაპეკულაციო ოპერაციებზე დამოკიდებულს ხდის. ასეთი პროგრამები ისე ფიტავენ ქვეყანას, რომ ის მთლიანად ეკონომიური კრიზისების ფაზაში ხვდება და შემდეგ სამართავად ძალიან ადვილია. ასე რომ, იარაღი, რომელიც დასავლეთმა შეინარჩუნა მსოფლიო გლობალიზაციის სახელით, მუშაობს და მუშაობს საკმარის ეფექტურად.

## ვის მიუძღვნა გალაკტიონმა “გამარჯობა, აფხაზეთო, შენი”



**ერთ-ერთ წვეულებაზე უმშვენიერეს ქეთევან ჯაფარიძეს ბევრი ლექსი წაუკითხავს. შესაბამისად, გალაკტიონიც ბევრჯერ მოხვედია ხელზე ამის გამო მამას უეჭვიანია და უხეშადაც მოქცეულა... დედა ისხენებდა ხოლმე, – ისეთი ბედნიერი ვიყავი, ჩემი უსაყვარლესი პოეტი ასეთ მოკრძალებას რომ გამოსატყუვდა, მაშინმა კი ყველაფერი ჩამიმწარაო...**

**– წვეულება როგორ დასრულდა? – წვეულება დასასრულს უახლოვდებოდა, რომ გალაკტიონის კიდევ ერთხელ უკითხავს, კიდევ ხომ არ წაიკითხავდით ლექსსო? დედას ისეთი ლექსი წაუკითხავს, რომელიც საბჭოთა ცენზურას აკრძალული პქონდა და არსად დაბეჭდილა.**

**გალაკტიონი გაოცებულია – ეს ლექსი საიდან იცით? დედას უპასუხია, – მეგობრისგან “გადვიწერე ჩემად”.**

**გალაკტიონი ადფრთოვანებას ვერ მალავდა – ქალბატონო ქეთევან, ლექსი უნდა მოგიდგინათო, უთქვამს. მეუბნებიდან ხელსახოცი აუღია და ზედ რაღაცა დაუწერია. მის გვერდით მჯდომ გვერდით ქიქოძეს მაშინვე ჯიბეში ჩაუღვია და იქაურობას გასცლიან... რამდენიმე ხნის შემდეგ გამოვიდა ლექსი – “გამარჯობა, აფხაზეთო, შენი”. ის “მშვენიერი ქალი”, გალაკტიონის ლექსიდან, ქეთევან ჯაფარიძე გახლდათ. დედასაც სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა, რომ ლექსში მოხსენიებული “მშვენიერი ქალი” იყო, რომელმაც “გადვიწერა ჩემად” მისი ლექსი...**

ეკა ხალაია

30 მარტი 2015



საერთო კუთხე მიჰყავს შურნაღისტ ბიორბი ჯალალანია ნუკრი რევიზილი: იმდენი ვიხტუნავე, გვერდები დღემდე მტკივა...



ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო ტურში საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი გერმანია ლაიპციგში გამწარებული დახვდა...

საბოლოოდ, "ზუნდესმანქანაში" მაინც გატეხა "ჯვაროსნები" და ევროპის ჩემპიონატზე გავიდა, მაგრამ იოახიმ ლიოვის შეგირდებმა ბევრი გოლის გატანა ვერ მოახერხეს...

ბერმანია-საქართველო 2:1 - 11 წუთი სასწაულამდე

ნუკრი რევიზილი ახლა უკვე რუსეთშია და იქაური პრემიერლიგის მორიგი ტურის მატჩისთვის მოემზადა, რომელიც მისმა "მორდოვამ" 19 ოქტომბერს როსტოვში გამართა...

დასრულდა მორიგი ციკლი, რომელმაც გულშემოტივარს უკვე ჩვეული იმედგაცრუება მოუტანა. დამაიმედებელი

მხოლოდ ის არის, რომ ნაკრებმა ბოლო შეხვედრებში უკეთ ითამაშა...

ჩემთვის შედეგებზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ კახა ცხადაძემ ახალი სისტემის დანერგვა დაიწყო და ნელ-ნელა ფეხბურთის თამაშს ვუბრუნდებით...

არაფინ თქვას, რომ მცირე ანგარიშით წაგების გამო კმაყოფილები ვართ. წაგება სისხარულს ვერც მე მომანიჭებს და ვერც სხვა მოთამაშეს, მაგრამ ის მახარებს, რომ ფეხბურთი გავიხსენეთ...

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჯანო ანანიძე და ლევან მჭედლიძე ვერ გვეხმარებოდნენ. არადა, ნაკრებისთვის ორივე დიდ ძალას წარმოადგენს...

რუსული გამოცემა "სპორტ-ექსპრესის" მიმოხილვაში ეწერა, რომ გერმანელებმა

საქართველოსთან "ცალი ფეხით", კლასის ხარჯზე გაიმარჯვეს...

ეტყობა, ამის დამწერს თამაში არ უნახავს. რუსის რა მიკვირს, როცა ბევრ ქართველსაც ასე ჰგონია...

ვისაც რა უნდა, ის თქვას. მე ჩემს თვალსა და ყურს ვუჯერებ. ბოლო მატჩებში დამაიმედდა, რომ შემდეგ შესარჩევი ციკლს გაცილებით უკეთ ჩავატარებთ...

პირადად თქვენზეც ვილაპარაკოთ. ლაიპციგში 17 "სეიფი" გააკეთეთ...

იმდენი ვიხტუნავე, გვერდები დღემდე მტკივა. რომ ვთქვა, ეს ჩემს კარიერაში არასოდეს მომხდარა-მეთქი, მართალი არ ვიქნებოდი...

გულწრფელად ვამბობ - ცხადაძესთან მუშაობა სასიამოვნოა. მას და მეკარეთა მწვრთნელ მამუკა აბუსერიძეს ნდობისთვის მადლობას ვუხდით...

"კიკერმა" ფეხბურთელები რომ შეაფასა, საუკეთესო შეფასება მანუელ ნოიერს დაუწერა - 1 ბალი. თქვენნი თამაშშიც კარგად დააფასეს და საქართველოს ნაკრებში საუკეთესო ქულა - 2,5 დაგიწერეს...

ნოიერი ხომ "არაადამიანია" (იცინის)?! ერთი არ "გაგვაცანინა", არადა, ასეთ დარ-

ტემებს, რომელიც მან ოქრიაშვილსა და კვეკვესკირს აუღო, წესით, მეკარეები ვერაფერს უხერხებენ.

უკეთესი შეფასება მეც გამახარებდა, მაგრამ ობიექტურად რომ ვილაპარაკოთ, ამ შეხვედრას გერმანიისთვის უფრო დიდი ფასი ჰქონდა და ეტყობა, "კიკერის" შეფასებაც აქედან გამომდინარეობდა...

გაველენინამა ბრიტანულმა გამოცემა "გარდიანმა" მატჩის "აღმორჩენად" მიგიჩინათ...

სასიამოვნოა, ინგლისელებმა "სიბერეში" მაინც რომ აღმომაინეს...

საკლუბო ამბებზეც გვითხავთ. 20 სექტემბერს, მოსკოვის ცსკა-სთან წაგების შემდეგ ძირითად შემადგენლობაში აღარ გითამაშიათ და სამი მატჩი, "მორდოვას" კარს მოლდოველი ილიე ჩებანუ იცავს...

კარგად კი დავიწყებ, მაგრამ ცსკა-სთან წაგებამ ყველაფერი არია. თუმცა, სიმართლე თუ გინდათ, ამ სტრესის შემდეგ მეც მჭირდებოდა დასვენება...

მაგრამ გერმანიის შემდეგ სარანსკში ისეთი ემოციებით დავბრუნდი, მაინც გერმანია, რომ ყველაფერი კარგად იქნება...

"მორდოვიაში" დარჩენას როდემდე აპირებთ? ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. პირველი წრის დასრულებამდე ორი თვეა დარჩენილი...

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ "ლავრენტი ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენბელია)...

სახალხო მოძრაობა "სამშობლო" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კამკასია"...

იუმორი

- შენ ცხენების გეშინია?
- არა!
- იმათ შენი?
...
- თქვენ ბუასილი გაქვთ, და ამა-სთანვე სკლეროზი.
- მადლობა დემეტრე! მე მეშინოდა, ბუასილი არ მქონოდა.

სახალხო მკურნალთა მოულოდნელი ჯარი კილავი მკურნალი ნაყოფიერი ფარმაცეუტიკის, რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. მკურნალის კოორდინატები: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე - შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.